# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 9 მაისი 2006 №103 (2725) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა




## აჰა, ახალი!

დღეს ვერის ბაღში საქართველოს მეთხუთმეტე საკალათბურთო ჩემპიონატის ფინალი იწყება. აქეთ „თბილავიამშენი", იქით რუსთავის „აზოტი" და, ამათ შორის ვინც არ უნდა მოიგოს, ქართულ კალათბურთს ახალი ჩემპიონი ეყოლება. პროგნოზისგან თავის შეკავება ეგების, მით უფრო, რომ ამათ შორის ფინალის ახალბედა და შემთხვევითი მონაწილე არც ერთია და არც მეორე.

## ეტაპ ძენ პაზედი

### დღეს ბოლნისს ძილი არ უწერია

საქართველოს დღემდე სამი ჩემპიონი ჰყოლია — თორმეტგზის ტრიუმფატორი თბილისის „დინამო", სამგზის გაპირველებული ქუთაისის „ტორპედო" და შარშანწინდელი „ოქროს მატჩის" მომგები თბილისის „ვიტ ჯორჯია". თუ სასწაული არ მოხდა, დღეს საქართველოს მეჩვიდმეტე ჩემპიონატს ოქროს წერტილს ბოლნისური „სიონი" დაუსვამს და შეიქნება მეოთხე კლუბი, ვისაც ამგვარი პატივი რგებია. საფეხბურთო საქართველოს სასწაულების არ სჯერა, ქვემო ქართლი კი ნაშუაღამევს ჩემპიონთა მოლოდინში იქნება.

წლეულსვე ახალი მფლობელი გამოუჩნდება საქართველოს თასსაც. აქამდე არც თბილისურ „ამერს" და არც „ზესტაფონს" დავით ყიფიანის სახელობის პრიზი არ აღუმართავთ.

და მაინც, იყო თუ არა ქართული ფეხბურთისთვის მე-17 ჩემპიონატი წინგადადგმული ნაბიჯი? განსჯა შემდგომისთვის გადავდოთ და დღეს ჩემპიონის დაბადებას დაველოდოთ...



ფოტო

სკანდალი აგორდა, პირველი თავი გაგორდა

## ბებრის ნამრუშალი ალი-აქოთდა

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ფრანკო კარარო გუშინ გადადგა. კარარომ ეს გადაწყვეტილება იტალიურ ფეხბურთში აგორებული სკანდალის გამო მიიღო. სკანდალი კი მას შემდეგ აგორდა, რაც გაირკვა, რომ „იუვენტუსის" გენერალური დირექტორი ლუჩანო მოჯი თავისი გუნდის მატჩებისთვის მსაჯებს უკვეთავდა პიერლუიჯი პაირეტოს, რომელიც მსაჯთა კომიტეტის შეფი იყო 2004-2005 წლების სეზონში.




AFP ფოტოქრონიკა



AFP

## არგენტინა: ლეო, ინგლისი: თეო

### ბავშვური რითმა არაბავშვურ თამაშში

FIFA FUSSBALL-WELTMEISTERSCHAFT DEUTSCHLAND 2006

არგენტინის ნაკრებს თუ ჰყავს ყმაწვილი ლეო მესი, ინგლისს მსოფლიოს ჩემპიონატზე თეო უოლკოტი ეყოლება — 17 წლის არსენალელი, რომელსაც ნაკრებში კი არა, „მეთოფეების" ძირითად შემადგენლობაში ერთხელაც არ უთამაშია. სვენ გორან ერიკსონმა გუშინ გამოაცხადა 23 კაცის გვარ-სახელი, რომლებსაც გერმანიაში წაიყვანს. ერიკსონს თეო ულკოტის ამბავი სერ ბობი რობსონმა დაუწუნა, ბიჭი, შესაძლოა, ნიჭიერია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი წაყვანა ნაადრევიაო.



ამასობაში კი გუნდები ნელ-ნელა მიიწევენ გერმანიისკენ. მუნდიალის დაწყებამდე ერთი თვე დარჩა და გერმანიის პირველი სტუმარი უკვე ცნობილია — ტოგოს ნაკრები 15 მაისს ჩავა და დაბინავდება იქ. ხუთი დღის მერე კი ტოგოელებს ანგოლელებიც მიჰყვებიან . ორივენი დებიუტანტები არიან და, ეტყობა, ძალიან უნდათ, რაც შეიძლება მალე იგრძნონ მუნდიალის სურნელი. და ვინ ჩავა ყველაზე ბოლოს? უკრაინის ნაკრები, რომელიც ზუსტად გახსნის დღეს, 9 ივნისს ეწვევა გერმანიას.

# ეროვნულს თვალები დაუწვრილდება



**თბილისის** მთავრობა გუშინაც არ შეკრებილა. ჯერჯერობით არც ისაა ცნობილი, როდის მოხერხდება სხდომის გამართვა, რომელმაც ეროვნული სტადიონის რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ კონკურსში „დინამო-ინვესტის" გამარჯვებას ლეგიტიმურობა უნდა მიანიჭოს. არადა, ამის გარეშე მერია ინვესტორთან კონტრაქტს ვერ აფორმებს, რომელსაც, თავის მხრივ, მომავალი კონტრაქტორები სხვადასხვა ქვეყანაში ელიან.

„დინამო-ინვესტმა" ლოდინს საქმის წინ წაგდება ამჯობინა და მისი დირექტორი ირაკლი მეძმარიაშვილი დღეს ჩინეთში მიემგზავრება. საქვეყნოდ ცნობილ კორეულ „სამსუნგს" ამ ქვეყანაში რამდენიმე ქარხანა აქვს. „დინამო-ინვესტი" კი მათთან კონტრაქტის გაფორმებას ეშურება და განახლებული „ეროვნული" სწორედ „სამსუნგის" ფირმის ტელევიდეოაპარატურით აღიჭურვება.

ამგვარი კონტრაქტი ათობით სხვადასხვა ფირმასთანაა გასაფორმებელი და საინტერესოა, მაინც როდის დაადგება საშველი მერიასა და ინვესტორს შორის ყველა ფორმალობის მოგვარებას. „დინამო-ინვესტი" დღეს, ფაქტობრივად, იმ სტადიონზე ზრუნავს, რომელიც ოფიციალურად მისთვის არავის გადაუცია.

**გიორგი ნოზაძე**

# ტოპი ლევერკუზენში ბრუნდება?



კლაუს ტოპმიოლერი და ნოდარ ახალკაცი

**წუხელ** საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი თბილისში უნდა ჩამოსულიყო. ჰერ კლაუსი საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურის ერთ-ერთ შეხვედრაზე დასწრებას, შემდეგ კი იმ შემადგენლობაზე მუშაობას გეგმავს, თვის ბოლოს ავსტრია-გერმანიაში რომ შეიკრიბება.

ამ შემთხვევაში კლაუს ტოპმიოლერი დროში შეზღუდული არ არის, რადგან ჩვენი მენაკრებეების უმრავლესობას საზაფხულო შვებულება ან დაეწყოთ, ანაც მომავალ უქმეებზე დაეწყებათ. შესაბამისად, გერმანიაში წამსვლელთა სრული სიაც მხოლოდ ბოლოწამს გახდება ცნობილი.

საქართველო — პარაგვაის ამხანაგური შეხვედრის ამბავი გადაწყვეტილია: 31 მაისს დორნბირნში გაიმართება. სამაგიეროდ, დღემდე გაურკვეველია, სად შედგება საქართველოსა და ახალი ზელანდიის ეროვნულ ნაკრებთა 27 მაისის შეხვედრა. როგორც შევიტყვეთ, საქართველოს ნაკრების მეორე მწვრთნელი რალფ მინგე ამჟამად სწორედ ამ პრობლემის მოგვარებითაა დაკავებული და არჩევანი ლევერკუზენისკენ იხრება. ეს სავსებით ბუნებრივია — კლაუს ტოპმიოლერის დაბრუნება ქალაქში, რომლის გუნდთან ერთადაც კარიერაში უდიდეს წარმატებებს მიაღწია, ადგილობრივ ქომაგთა შორის თავისთავად ინტერესს გამოიწვევს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, საბოლოოდ საქართველო — ახალი ზელანდიის ამხანაგური მატჩის გამართვის ადგილი დღეს საღამოსთვის გაცხადდება.

**გიორგი ნოზაძე**

# რატომ იუქმეს მეორებუნდესლიგელებმა

**მეორე** ბუნდესლიგის წინა ტურში არც ერთ ქართველს არ უთამაშია და როცა ამის მიზეზი მოვიძიეთ, ამას მივაკვლიეთ: ერცგებირგეს აუე-ს დავით სირაძემ საზარდულის ტრავმის შემდეგ გუშინ განაახლა გუნდთან ერთად ვარჯიში და, შესაძლოა, ბოლო ტურში ითამაშოს კიდეც.

„ფრაიბურგმა" სტუმრად „ალემანიას" 1:0 მოუგო და ის იოტისხელა შანსი შეინარჩუნა პირველ ბუნდესლიგაში დასაბრუნებლად. ოთარ ხიზანეიშვილს ფეხი ასტკივდა და ვერ ითამაშა, ხოლო ალექსანდრე იაშვილი ფოლკერ ფანკემ სათადარიგოთა სკამზე გაამწესა.

**ლუკა თალაკვაძე**

# ქართული დერბი ბაქოში

## აზერბაიჯანი ფინიშს მიუახლოვდა

**ამ** უქმეებზე აზერბაიჯანის ჩემპიონატში ერთობ მნიშვნელოვანი მატჩი გაიმართა — ალეკო გოგობერიშვილისა და ალეკო რეხვიაშვილის „ბაკიმ" გიორგი ადამიასა და ვალერი აბრამიძის „ნეფთჩის" 1:0 მოუგო. რეხვიაშვილის გარდა ყველა ქართველმა სასტარტოში ითამაშა.

გოჩა ტრაპაიძის, ლექსო ინწკირველისა და რომან ახალკაცის „ქარვანს" წინა ტურში არ უთამაშია, სათასო მატჩში „ხაზარი" 3:0 დაამარცხა და თასის ფინალში გავიდა.

„ქარვანი" ჩემპიონატში პირველ ადგილზეა 52 ქულით, მეორეზეა „ბაკი", მესამეზე — „ნეფთჩი". სამივე გუნდს თანაბარი ქულები აქვს, თუმც „ქარვანს" ერთი თამაშით ნაკლები ჩაუტარებია.

აზერბაიჯანის ჩემპიონატის დამთავრებას ორი ტური აკლია.


დავით ყიფიანის სახელობის თასი
ფინალი
13 მაისი
სტადიონი მიხეილ მესხი
ამერი vs ზესტაფონი
www.pfl.ge



გენერალური სპონსორი
მთავარი სპონსორი
სპონსორები
i'm lovin' it
ოფიციალური სპონსორი
აიეტი
საინფორმაციო მხარდამჭერა
სარბიელი
ოლიმპი
დასაწყისი 20:00 საათზე
ბილეთის ფასი 2,3 ლარი



ერთად გავიხსენოთ
თბილისის "დინამოს"
დიდი გამარჯვება!




საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და
საქართველოს ეროვნული მუზეუმი გეპატიჟებათ
11-14 მაისს ქარვასლაში 1981 წლის 13 მაისის
25 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე


### ინგლისი

ჩემპიონატი
გადასასვლელი პლეი ოფი
ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი

პრესტონი 0:2 ლიდსი (1:1)

### ნორვეგია

ტიპელიგა. VI ტური

ვიკინგი 3:1 მოლდე

### შვედეთი

ალსვენსკა. VII ტური

აიკ 2:2 ელფსბორგი
მალმიო 3:1 ჰელსინგბორგი

### ჰოლანდია

გადასასვლელი პლეი ოფი
საპასუხო მატჩი

ბრედა 0:0 ვოლენდამი (2:1)

### სლოვაკეთი

თასის ფინალი

ტრნავა 0:0(პენ.3:4) რუჟომბეროკი

### ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი

A ჯგუფი. III ტური

ესპანეთი 2:0 უნგრეთი
ლუქსემბურგი 0:2 რუსეთი

B ჯგუფი. III ტური

გერმანია 4:0 სერბეთი
ჩეხეთი 3:1 ბელგია

ტელეკომპანია „იმედი"
მწუხარებით იუწყება,
რომ გარდაიცვალა სპორტული
პროგრამების რედაქციის
მთავარი რეჟისორი
დავით ასათიანი
და თანაუგრძნობს
განსვენებულის ოჯახს

სარბიელელები
მწუხარებით ვიუწყებით
ამაგდარი სპორტული
ტელერეჟისორის
დავით ასათიანის
გარდაცვალებას და სამძიმარს
ვუცხადებთ მის ოჯახს

# ლოგიკური თამაში

**მეჩვიდმეტე** ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე უმაღლესი ლიგის გაფართოების მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი არგუმენტი ისიც იყო, ცხრილის შუაგულში რამდენიმე გუნდი თავს დაიარხეინებს და მეორე წრეში პრინციპულობას მოკლებული, ადვილად პროგნოზირებადი მატჩები იმრავლებსო. ამას ბუნებრივად ემატება ქართული საფეხბურთო რეალობისთვის ჩვეული სიტუაცია: ერთნი სხვებს თამაშების გარიგებაში, ქულების სესხება-ჩასესხებაში, მოკლედ — უპატიოსნო გზით მიზნის მიღწევაში სდებენ ბრალს.

შორს ვართ იმ აზრისგან, რომ საქართველოს ჩემპიონატში ყველაფერი რიგზეა. მეტიც, მდგომარეობა საგანგაშოა და თუ იმავე ტემპით გავაგრძელეთ „პროგრესი", უკვე მომავალ ჩემპიონატში ტურის დაწყებამდევე შეგვეძლება გათამაშების ცხრილის კორექტირება.



ბადრი ქეთილაძის ფოტო

სად არის სიმართლე და რამდენად ობიექტურია ძალთა ის თანაფარდობა, რომელიც სადღეისოდ გათამაშების ცხრილშია ასახული? გადავწყვიტეთ, ცხრილის ზედა ნახევარში განლაგებული გუნდებისთვის ცალკე ცხრილი შეგვედგინა. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ მასში ის გუნდებია შეყვანილი, მთელი სეზონის განმავლობაში ევროსაგზურზე რომ აცხადებდნენ პრეტენზიას და მათ ურთიერთშეხვედრებში გარიგების ძებნა უბრალოდ უაზრობაა. ერთადერთი, თბილისური „ლოკომოტივია", მეორე წრის დასაწყისში ჭაბუკთა ლიგის გუნდად რომ გადაიქცა, თუმცა ამას ჩვენს ცხრილზე დიდი გავლენა არ მოუხდენია — „ლოკომოტივმა" ხომ ყველა მეტოქეს ერთნაირი გულუხვობით ჩამოურიგა მეორე წრეში ქულები და ამით ძალთა ბალანსი არ დაურღვევია.

როგორც ხედავთ, ბოლნისის „სიონი" ამ ცხრილშიც პირველ ადგილზეა, თუმცა „ვიტ ჯორჯიას" ერთი მატჩი თადარიგში აქვს სტუმრად „ბათუმთან". ესეც არ იყოს, „სიონს" შვიდი კონკურენტიდან არც ერთთან უარყოფითი ბალანსი არ აქვს, ნახევარზე მეტს კი ქულების ნახევარზე მეტს გამორჩა. სხვა საქმეა, რომ ბევრს და მათ შორის მეც, „ვიტ ჯორჯიას" თამაშის სტილი უფრო ესიმპათიურება, სხვები კი საუკეთესოდ „ზესტაფონს" ან სულაც „დინამოს" თვლიან. აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ „ვიტ ჯორჯიამ" გაცილებით კარგი შედეგი აჩვენა პირველ წრეში და იგივე ხერხით შედგენილ ცხრილს დამაჯერებლად ლიდერობდა, ჩემპიონობამდე კი... ოთარ მარცვალაძე დააკლდა. რაც შეეხებათ ბოლნისელებს, კახა ცხადაძე ყოველ კომენტარში აქცენტს ლამაზ ბურთაობაზე ან შემტევ ფეხბურთზე კი არა, ბოლომდე ბრძოლასა და თავდადებაზე აკეთებდა. შედეგი სახეზეა.

„დინამოს" მეხუთე და „ზესტაფონის" მეექვსე ადგილსაც მოეძებნება ახსნა. თბილისელებმა პირველი წრის მიწურულს და მეორის სტარტზე ბევრი გაუთვალისწინებელი ქულა დაკარგეს და არამხოლოდ უშუალო კონკურენტებთან. რაც შეეხება „ზესტაფონს", მეტისმეტად უფერული სტარტის შემდეგ ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა ლიდერებს, მეორე წრეში ეგებ საუკეთესო ფეხბურთიც აჩვენა, მაგრამ დაკარგულის ანაზღაურება ვეღარ მოასწრო.

რა თქმა უნდა, შემოთავაზებული ცხრილი ღრმა ანალიზისა და შორსმიმავალი დასკვნების გაკეთების უფლებას არ იძლევა. ჩვენც ისე, ინტერესისთვის შემოგთავაზეთ, თუმცა იმას კი დავძენთ, რომ საბოლოო ჯამში ფეხბურთი მაინც ლოგიკური თამაშია.

**გიორგი ნოზაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 14 | 8 | 3 | 3 | 17-9 | 27 |
| ვიტ ჯორჯია | 13 | 8 | 2 | 3 | 21-8 | 26 |
| ბორჯომი | 14 | 7 | 1 | 6 | 14-14 | 22 |
| ბათუმი | 13 | 5 | 4 | 4 | 12-12 | 19 |
| დინამო | 14 | 5 | 3 | 6 | 19-16 | 18 |
| ზესტაფონი | 14 | 4 | 6 | 4 | 11-13 | 18 |
| ამერი | 14 | 4 | 1 | 9 | 13-20 | 13 |
| ლოკომოტივი | 14 | 3 | 2 | 9 | 10-25 | 11 |



ჯიპსი ჯიპსი
გენერალური სპონსორი
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა
მეორე წრე

30 ტური ანონსი

# პრაგმატური

## ქუთაისში გაცხადდება ცხადაძე და სიონი

ილია ნანობაშვილი

იტალიაში, ესპანეთში, გერმანიაში თუ სადაც გნებავთ, ყველგან ასეა — ბოლო ტურებში ბევრი მითქმა-მოთქმაა, ამას არ სჭირდება, იმას სჭირდება, ეს თავს რატომ მოიკლავს და ასეთები... საქართველოში მსგავსი ლაპარაკები ჩემპიონატის დასრულებამდე კარგა ხნით ადრე იწყება-ხოლმე და ახლა ბოლო ტური რა იქნება, ხომ წარმოგიდგენიათ?! სადღაც მეხუთე ტურიდან გამოიკვეთა ლიდერ-აუტსაიდერთა ჯგუფები. ძლიერებსა და სუსტებს შორის ძალიან დიდი უფსკრული იყო და იოლად გამოსაცნობ მატჩებსაც თვლა არ ჰქონდა. ასე განსაჯეთ, მეორე წრეში თითზე ჩამოსათვლელი თამაშები გვახსენდება, სადაც მომგებმა ვერ მოიგო — ეს ძალიან ცუდია, გუნდებს შორის კლასში განსხვავება ყველა ქვეყანაშია, მაგრამ ზომიერების ფარგლებში. თექვსმეტგუნდა ჩემპიონატმა უფრო გამოაჩინა, ფინანსურად რა დღეში არიან ქართული გუნდები. ღვთის მადლით, შარშანდელი გორის „დილასავით“ წლეულს არავინ დაჩაჩანაკებულა, თუმცა მარტო მინდორზე გასვლა და ვალის მოხდა რომ არაა...

ამიტომაც ახლა იმაზე ლაპარაკს არ დავიწყებთ, რომელ გუნდს რომელ ხაზში უჭირს ან თამაშის სტილით უხერხული მეტოქეა თუ ხერხიანი. მოდით, თითოეული თამაში ასე განვიხილოთ — ვის რა სჭირდება დღეს?

**დისკვალიფიცირებულნი:**

„დილა“ — იოსებ კურტანიძე, ლაშა გვარუციძე

„დინამო“ — მიხეილ ბობოხიძე

„ამერი“ — გიორგი დავითნიძე

„სიონი“ — ალექსანდრ გურბიენკო

„ზესტაფონი“ — ალექსი ბენაშვილი

„სოხუმი“ — ვაჟა ჭყოიძე



ქულაც და, ბოლნისელები პირველად გაიხარებენ ჩემპიონობით

გურამ ცოცხაშვილის ფოტო

ქუთაისი. 9 მაისი. 17 საათი. ტორპედო

### ტორპედო — სიონი

მსაჯები: ლ. სილაგავა; დ. კვეტენაძე, ზ. ბერულავა; დ. სანაია;
დამკვირვებელი: ი. მჭედლიშვილი

ტურის მთავარი მატჩია: თითქმის დარწმუნებულნი ვართ, საჩემპიონო ზეიმი სწორედ ქუთაისში გაიმართება, ოღონდ მთავარ როლში სტუმრები იქნებიან. აბა, როგორ დავიჯეროთ, რომ „სიონი“ ქულას ვერ აიღებს „ტორპედოსთან“?! თუ სასწაული მოხდა და კახა ცხადაძის გუნდმა წააგო, პარალელურად კი „ვიტ ჯორჯიამ“ ბათუმში მოიგო, „ოქროს მატჩი“ დაინიშნება, მაგრამ ეს უტოპიურად გვეჩვენება — „ტორპედო“ უკვე დარჩენილია უმაღლეს ლიგაში და ეს თამაში მისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს.

ქუთაისური მატჩის მეორადი ინტრიგა კი კოკა მიკუჩაძეა — „სიონის“ ლიდერი ბომბარდირობას ეშურება.

ბათუმი. 9 მაისი. 17 საათი. დინამო

### ბათუმი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ლ. მიქელაძე, ზ. მენთეშაშვილი; მ. ნაკაიძე;
დამკვირვებელი: ი. ლორთქიფანიძე

ოთარ გაბელიას „ბათუმისთვის“ ინტერესი მაშინ ჩაკვდა, როცა შინ „დინამოსთან“ წააგო. ახლა კი ზღვისპირელები მეხუთე ადგილზე გავლენ თუ მეექვსეზე, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. „ვიტ ჯორჯიას“ პწკალისოდენა საჩემპიონო შანსებზე კი უკვე ვთქვით: „მწვანეებმა“ უნდა მოიგონ, „სიონმა“ კი წააგოს და მერე „ოქროს მატჩისკენ“ ჰერი, ჰერი...

თბილისი. 9 მაისი. 17 საათი. შევარდენი

### სოხუმი — დინამო

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი; ო. მოლოდინაშვილი, ტ. არაბული; ა. კრიჭაშვილი;
დამკვირვებელი: ე. სილაგავა

„სოხუმი“ უკვე გავარდა, „დინამოს“ კი მოგება უნდა, რათა მესამე ადგილზე გავიდეს და, ალბათ, ასეც მოხდება. ჯაბა დვალის მომენტიცაა — იგი ბომბარდირთა სიის თანალიდერია ზურაბ იონანიძესთან ერთად, მათ კი ერთი ბურთით მიკუჩაძე ჩამორჩება და ვნახოთ, ვინ რამდენს გაიტანს...

თელავი. 9 მაისი. 17 საათი. გივი ჩოხელი

### კახეთი — ზესტაფონი

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი; მ. ურუშაძე, ზ. ასკაროლლი; ვ. ელისაბედაშვილი;
დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე

თელაველებს თავი ქუდში აქვთ — ერთადერთი გუნდია, უმაღლესი ლიგის თექვსმეტ გუნდამდე შესავსებად რომ გადმოიყვანეს და გავარდნის საფრთხე აღარ ემუქრება. „ზესტაფონს“ კი მაინც სჭირდება მოგება, რადგან, ჯერ ერთი, ვინ იცის, „სოხუმმა“ რაიმე შეჰკადროს „დინამოს“ და მეორეც, კუდში „ბორჯომი“ მისდევს.

და მაინც, გაიტანს (და რამდენს) იონანიძე?

გორი. 9 მაისი. 17 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

### დილა — ბორჯომი

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; კ. გაბრიაძე, გ. დოგრაშვილი; მ. ბეუქლიშვილი;
დამკვირვებელი: რ. ტალიაშვილი

გორელები სახიფათო ზონაში ტრიალებენ და შესაძლოა, პირველლიგელთან პლეი ოფის გამართვამ მოუწიოთ. „დილა“ თუ მოიგებს, ყველანაირად გა-დარჩენილია, მაგრამ წაგებითაც შეიძლება ეშველოს — გააჩნია, როგორ ითამაშებენ „ცხინვალი“ და „თბილისი“. „ბორჯომის“ კი ევროპისკენ ერთადერთი გზა აქვს: დღეს უნდა მოიგოს, „ზესტაფონმა“ და „დინამომ“ კი ქულები დაკარგონ...

თბილისი. 9 მაისი. 17 საათი. ამერი

### ამერი — თბილისი

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; ზ. ჯვარიძე, გ. ყრუაშვილი; დ. ხარიტონაშვილი;
დამკვირვებელი: ო. რუხაძე

„ამერი“ 13 მაისის თასის ფინალს ელის და ჩემპიონატში ბოლო მატჩები მიაფუჩეჩა. გლდანელებს მეშვიდე ადგილიდან ველარავინ დაძრავს, აი, „თბილისს“ კი მოგება სჭირდება, თუმცა მთლად საკუთარ თავზეც არაა დამოკიდებული. ვარიანტი პირველი: „თბილისმა“ თუ მოიგო და „დილამ“ ვერა, პლეი ოფში გორელები ჩაქვეითდებიან, ხოლო „თბილისმა“ თუ ვერ იმარჯვა, საპლეიოფო ნერვებწყვეტა არ ასცდება — ისნელთა მოგებისა და „დილას“ ფრის შემთხვევაში ამ ორ გუნდს თანაბარი ქულები მოუგროვდება, მაგრამ გოჩა ტყებუჩავას სამწყსოს მეტი მოგება ექნება და სწორედ ეს პუნქტი მოქმედებს თანაბარქულიანობისას...

ფოთი. 9 მაისი. 17 საათი. ფაზისი

### კოლხეთი — ცხინვალი

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ზ. ერქვანია, ე. ნარმანია; პ. დოგრაშვილი;
დამკვირვებელი: ო. გუნთაძე

აქ კი მართლაც ფიცხელი თამაშია მოსალოდნელი. ფოთელებს ფრეც ხელს აძლევთ და უმაღლესში რჩებიან, „ცხინვალს“ კი მხოლოდ მოგება სჭირდება. აი, ესაა ანაბანა, რაც საპლეიოფო ზონიდან დასხლტომისთვისაა საჭირო — ძნელი დასაჯერებელია, „კოლხეთმა“ შინ დათმოს ასეთი მატჩი, მაგრამ ვნახოთ...

თბილისი. 9 მაისი. 17 საათი. ოლიმპი

### ლოკომოტივი — სპარტაკი

მსაჯები: ა. ორდინიძე; გ. ცირდავა, ნ. რუსიშვილი; მ. მაისურაძე;
დამკვირვებელი: მ. ჭელიძე

არანაირი სატურნირო ინტერესი... გაახალგაზრდავებული „ლოკომოტივი“ ცხრილის შუაში გაჭედილი, „სპარტაკმა“ კი კარგა ხანია, ხელი დაგვიქნია...

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე წრე
29 ტური
აქცენტები

სიონი 3:0 ამერი
ზესტაფონი 4:1 სოხუმი
სპარტაკი 1:2 ტორპედო
დინამო 5:0 კოლხეთი
თბილისი 3:0 კახეთი
ცხინვალი 1:2 ბათუმი
ბორჯომი 2:0 ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია 2:0 დილა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 29 | 22 | 4 | 3 | 53:17 | 70 |
| ვიტ ჯორჯია | 29 | 21 | 4 | 4 | 53:16 | 67 |
| დინამო | 29 | 19 | 4 | 6 | 55:21 | 61 |
| ზესტაფონი | 29 | 18 | 7 | 4 | 44:21 | 61 |
| ბორჯომი | 29 | 19 | 2 | 8 | 50:24 | 59 |
| ბათუმი | 29 | 17 | 6 | 6 | 41:21 | 57 |
| ამერი | 29 | 15 | 4 | 10 | 32:24 | 49 |
| ლოკომოტივი | 29 | 10 | 4 | 15 | 38:47 | 34 |
| კახეთი | 29 | 9 | 4 | 16 | 31:46 | 31 |
| ტორპედო | 29 | 8 | 6 | 15 | 28:38 | 30 |
| კოლხეთი | 29 | 8 | 5 | 16 | 23:36 | 29 |
| დილა | 29 | 8 | 4 | 17 | 33:45 | 28 |
| ცხინვალი | 29 | 8 | 3 | 18 | 30:58 | 27 |
| თბილისი | 29 | 8 | 2 | 19 | 26:43 | 26 |
| სოხუმი | 29 | 5 | 3 | 21 | 25:64 | 18 |
| სპარტაკი | 29 | 3 | 6 | 20 | 11:54 | 15 |

# გონსალო და დარიო ქართულ ლოყებზე




**აბა,** გავიხსენოთ, რამდენ მართლაც კარგ ლეგიონერს უთამაშია საქართველოში... ერთი ხელის თითები ნაღდად გვეყოფა: ტორპედოელი ანდრეი პოროშინი, დინამოელი კარლოს და როჩა, ზესტაფონელი სერგეი ნუდნი და ნიჭიერი, მაგრამ საქართველოში გაუხსნელი ლოკომოტიველი ხუან დიეგო გონსალესი.

სასიამოვნოა, რომ ამ სეზონშიც გამოჩნდნენ ხარისხიანი უცხოელები — ცხადია, ვგულისხმობთ „ბორჯომის" არგენტინელებს, დარიო სებალეს და განსაკუთრებით გონსალო დე პორასს, რომლებიც საკურორტო ქალაქში სასწაულად უყვართ.

„გონსალოს გადააწოდეთ", „მიდი, გონსალო", „ეს რა ბიჭი ვიშოვეთ" — ასეთი შეძახილები ისმოდა „ბორჯომ" — „ლოკომოტივის" მატჩისას. ტრიბუნებიდან ყველაზე ბევრი თვალი გრძელთმიან და ტანმაღალ არგენტინელს უყურებდა. ისიც თამაშობდა, სულს და გულს დებდა, 2:0-ზეც არ გაჩერებულა და ყველა ბურთზე ჯიქივით იბრძოდა. დე პორასმა რომ გოლი გაიტანა, სულ სხვა ჟრიამული ატყდა ბორჯომელ ქომაგებში, არგენტინელმაც წარმატება ტრიბუნებისკენ ჰაეროვანი კოცნის გაგზავნით აღნიშნა.

რაც დავინახე, 10-15 გოგო მაინც შემხვდა სახეზე საქართველოს დროშითა და არგენტინელთა ნომრებით (9 და 25) შეღებილი.

„ბორჯომის" საშინაო მატჩებზე რომ ტრიბუნები სავსეა, აბა, ვინ არ იტყვის, რომ მეტწილად სწორედ პატაგონიელების დამსახურებაა?!



ბესიკ ფირცხალაიშვილის ფოტო

# მადლობა უფალს, გავიტანე!

„ვიტ ჯორჯია" — „დილას" შეხვედრაში სტუმრებს მეორე გოლი ვასილ ლუჭაშვილმა გაუტანა და მყის პირჯვარი გადაიწერა.

ეს არ იყო ისეთი რიტუალი, რომელსაც ზოგიერთი ფეხბურთელი ტრადიციულად მიმართავს ხოლმე. ლუჭაშვილი მე-17 ეროვნულის მეორე წრეში გადავიდა თბილისის „სპარტაკიდან" „ვიტ ჯორჯიაში" და გოლის გატანა მხოლოდ ბოლოსწინა ტურში მოახერხა. არადა, ლუჭაშვილი ისეთი ფორვარდია, სისწრაფე და აგრესიულობა რომ არ დაეწუნება, მაღალი ნახტომიც აქვს და არც ბურთთანაა მწყრალად — რომ იტყვიან, ლუჭაშვილი ალბათ გათვალული იყო და ნავსი გიორგობას გატეხა.

# ოქროს სურნელი
## სატვირთო მანქანა, თვითმფრინავი და პრეზიდენტი: ბოლნისური საჩემპიონო სამზადისი დაიწყო






**დღეს** საქართველოს ალბათ ახალი ჩემპიონი ეყოლება. უპირველესი კანდიდატი ბოლნისის „სიონი" ქუთაისში „ტორპედოს" სტუმრობს და მიზნის მისაღწევად ქულაღა სჭირდება. თავის მხრივ, „ტორპედოს" თავი უკვე ქუდში აქვს: „თბილისი" ვერანაირად ვერ დაეწევა, კიდევ ორი მდევარი, „კოლხეთი" და „ცხინვალი" კი ფოთში ერთმანეთს ხვდებიან. როგორ ფიქრობთ, გაუჭირდება „სიონს" უმოტივაციო მეტოქესთან ქულის გახერხება?

სწორედ ასევე ფიქრობენ ბოლნისში და დიდი საჩემპიონო ზეიმის სამზადისში არიან. ამბობენ, „ბარსელონამ" რომ კატალონიის დედაქალაქი მოიჯირითა, ისეთი ავტობუსით ვერა, მაგრამ სატვირთო მანქანით მაინც მთელი ქალაქი უნდა მოვატაროთ ჩემპიონებსო. თურმე პატარა თვითმფრინავიც შეუგულებიათ ბოლნისელებს, რომლიდანაც ზეიმისას თემურ სტეფანიას სახელობის სტადიონზე ბურთებს გადმოყრიან. ზეიმს კი, სავარაუდოდ, თვით ქვეყნის პრეზიდენტი დააფასებს და „სიონის" კაპიტანი საჩემპიონო თასს სწორედ მიხეილ სააკაშვილის ხელიდან მიიღებს.

საჩემპიონო სურნელი ბოლნისში უკვე ტრიალებს. იქაურ გოგონებსა და ბიჭებს ახალი კერპები ჰყავთ, მატჩისას მუყაოსგან დამზადებული პლაკატებით რომ ამხნევებენ და ნამატჩევს მასზევე ატოვებინებენ ავტოგრაფს.

ამბობენ, საჩემპიონო ბანკეტიც გრანდიოზული იქნებაო, თუმცა ბანკეტი უკვე „ჰოპლაა", მანამდე კი ქუთაისია მოსავლელი...

# კოლხეთმა ცხინვალამდე დებიუტი მოიწყო

**დღეს** ფოთის „კოლხეთს" შინ „ცხინვალთან" ერთობ მნიშვნელოვანი მატჩი ელის. სასწორზე უმაღლესი ლიგაა, მოგებული უძლიერესთა შორის ადგილს შეინარჩუნებს, წაგებულს კი ვინძლო პირველლიგელ მეოთხეადგილოსანთან მოუწიოს გადათამაშებამ. ჰოდა, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და, შაბათის მატჩისთვის თბილისში „დინამოს" წინააღმდეგ „კოლხეთის" თავკაცმა სოსო ფილიამ მთლად სათადარიგო შემადგენლობა წამოიყვანა და შედეგიც შესაბამისი მიიღო — 0:5.

ჩანს, „ცხინვალთან" შეხვედრის წინ ფილიამ ძირითადის ბიჭები დაასვენა და ახლა ქვემოქართლელებს, ალბათ, ერთიორად მობილიზებული დახვდება.

„კოლხეთმა" „დინამოსთან" მატჩისთვის ერთბაშად ცხრა ისეთი ფეხბურთელი იახლა, უმაღლესი ლიგის დებიუტანტი რომ იყო: ნუგზარ გოგნაძე, დავით ქავთარაძე, გიორგი ბერულავა, გიორგი ალასანია, გელა ციკოლია, რემი ხოფერია, მამუკა სოლომონია, გელა ჯახუა, იური ღვანია — ამათგან „დინამოსთან" მხოლოდ სოლომონიას არ უთამაშია.

### სიმბოლური ნაკრები

| | |
|---|---|
| კოკა მიქუჩაძე | სიონი |
| ჯაბა დვალი | დინამო |
| გონსალო დე პორასი | ბორჯომი |
| სანდრო კობახიძე | დინამო |
| გიორგი ფეიქრიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| მურთაზ ბურნაძე | თბილისი |
| ვლადიმერ უგრეხელიძე | სიონი |
| გიორგი თურმანიძე | ზესტაფონი |
| ალექსანდრე ბურნაძე | ბორჯომი |
| გიორგი სეთურიძე | ბათუმი |
| გიორგი სომხიშვილი | ბათუმი |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 17-იონანიძე | ზესტაფონი |
| დვალი | სიონი /დინამო |
| 16-მიქუჩაძე | სიონი |
| 14-მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| მეგრელაძე | დინამო |
| 11-ბობოხიძე | დინამო |
| 10-სულთანიშვილი | დილა /ცხინვალი |
| 9-დოლიძე | სიონი /ამერი |
| დავითაშვილი | ამერი |
| იმედაძე | ზესტაფონი |
| დვალიშვილი | დინამო/ბათუმი |
| ქ. ხანიშვილი | დილა /ცხინვალი |
| იმედაშვილი | ვიტ ჯორჯია |

# ქართველები უცხოეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა



კახა კალაძის (მარჯვნივ) „მილანის“ ჩემპიონობისა თითქმის არავის სჯერა

## რუსეთში ფეხბურთიც ველარ გაგვაქვს?

*კახა კალაძის „მილანმა“ სერია A-ს ბოლოსწინა ტურში „პარმას“ 3:2 სძლია და ახლა ფინიშის იმედადაა* — თუ ბოლო ტურში „იუვენტუსი“ წააგებს... მოკლედ, მილანელთა საჩემპიონო შანსი არცთუ მაღალია და ალბათ, საქართველოს ნაკრების კაპიტანი ამ სეზონს უტიტულოდ ჩაამთავრებს.

ჩვენებურმა „პარმასთან“ ძირითადში ითამაშა, მოედანზე 90 წუთი დაყო და მიმომხილველთაგან კარგი შეფასებაც მიიღო.

*პირველი პრემიერლიგური გოლით გამოირჩა ზურაბ ხიზანიშვილი*, „ბლექბერნმა“ კი „მანჩესტერ სიტისთან“ 2:0 მოგებით სეზონი მეექვსე ადგილზე დაასრულა და შემოდგომიდან უეფას თასზე ითამაშებს. ხიზანიშვილმა თავი 35-ე წუთზე გამოიჩინა, როცა მეკარის შეცდომით ისარგებლა და ახლოდან გაიტანა.

*და მიშა — რა თქმა უნდა, ისევ ბოლო წუთებზე შეცვლაზე შესვლა და ისევ გოლი.* ეს უკვე მეოთხედ შეძლო *მიხეილ ყაველაშვილმა* და აკი ტყუილად არ მოუნათლავთ „ბაზელის“ ჯოკერად. ბაზელელებმა სტუმრად 4:0 მიანგრიეს „შაფჰაუზენი“ და ბოლო სიტყვა სწორედ „ყაველამ“ თქვა — ამგვარად, ჩვენებურმა ამ სეზონში რვა მატჩი ჩაატარა, უფრო ზუსტად, რვაჯერ შევიდა შეცვლაზე და ოთხჯერ გაიტანა. ვერაფერს იტყვი, მშვენიერი შედეგია...

*ვერ გეტყვით, ანტიქართული კამპანია ფეხბურთზეც გავრცელდა თუ არა, მაგრამ ფაქტია:* რუსულ პრემიერლიგაში მობურთალი თორმეტი ქართველისგან მოედანზე მხოლოდ სამი გავიდა. *მალხაზ ასათიანის* „ლოკომოტივმა“, *გოგიტა გოგუას* „ნალჩიკმა“ და *დავით მუჯირის* „კრილიამ“ სამ-სამი ქულა მიითვალეს და უკვე სატურნირო ცხრილში ჩახედვისაც აღარ ეშინიათ. სხვა ჩვენებურებისა კი რა გითხრათ — ზოგი ტრავმირებულია, ზოგიც ძირითადში ვერ ხვდება...

*ერთი ქართული გოლი გავიდა უკრაინაში* — კრივბასელმა *ვასილ გიგიაძემ* „ვოლინს“ გაუტანა და თავისი გუნდის გამარჯვებას საფუძველი ჩაუყარა. ეს ვასოს მერვე გოლია მიმდინარე სეზონში.

**ქახა შალამბერიძე**

## მუჯირის მეორე ფინალი

### სპარსეთის ჩემპიონს თასი აღარ უნდა

**ირანის** თასის ნახევარფინალში ჯაბა მუჯირის ისპაჰანის „სეპაჰანმა“ თეირანში „საბა ბათერი“ 3:1 დაამარცხა და ფინალში გავიდა — ამ შეხვედრაში მუჯირმა სრულად ითამაშა. ფინალში „სეპაჰანის“ მეტოქე თეირანის „პერსპოლისია“.

აქვსენტი გილაურის „ესტეგლალმა“ კი უარი თქვა თასზე და მეოთხედფინალიდან დაემშვიდობა ტურნირს — უკვე ჩემპიონები ვართ, გუნდის შვიდი ფეხბურთელი ირანის ნაკრებშია გამოძახებული სამუნდიალოდ და ტრავმიანობას თუ დამატებით დატვირთვებს უნდა მოვერიდოთო.

ირანში ჯერ არ დაუდგენიათ, როდის გაიმართება ფინალი და „სეპაჰანი“ — „პერსპოლისი“ ერთ მატჩში იბრძოლებენ თასისთვის თუ ორში.

ჯაბა მუჯირს „სეპაჰანში“ ერთხელ უკვე მოუგია ირანის თასი —. შარშანწინ ისპაჰანელებმა ფინალში „ესტეგლალი“ სტუმრად 3:2 დაამარცხეს, შინ კი 2:0.

**დავით თავართქილაძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | პარმა 3:2 | 90 | | 27 | 2 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | მაინცი 0:1 | 90 | | 30 | 2 | 4 |
| ლევან ცქიტიშვილი | ვოლფსბურგი | ს | შტუტგარტი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 14 | 0 | 15 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ალემანია 1:0 | 0 | სათადარიგო | 25 | 4 | 6 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | ალემანია 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 0 | 6 |
| დავით სირაძე | აუე | ს | პადერბორნი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 4 | 7 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | ზტ. პაული | ს | ესენი 0:2 | 90 | | 25 | 2 | 5 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | ბაიროითი | შ | ელვერსბერგი 2:2 | 0 | | 19 | 12 | 9 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | შ | სიტი 2:0 | 90 | 1 გოლი | 25 | 1 | 6 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ბაზელი | ს | შაფჰაუზენი 4:0 | 11 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 8 | 4 | 1 |
| **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | | | |
| ლევან მელქაძე | ვოლერენგა | ს | ფრედრიკსტადი 1:2 | 0 | | 2 | 0 | 11 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | ზენიტი 3:1 | 90 | გააფრთხილეს | 2 | 0 | 7 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | შ | ზენიტი 3:1 | 0 | | 3 | 0 | 7 |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | შ | ზენიტი 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| მიხეილ აშვეთია | რუბინი | შ | მოსკვა 2:0 | 0 | | 5 | 0 | 1 |
| გიორგი ქინქლაძე | რუბინი | შ | მოსკვა 2:0 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | შ | მოსკვა 2:0 | 0 | | 5 | 0 | 1 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | შ | მოსკვა 2:0 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| ზურაბ არზიანი | რუბინი | შ | მოსკვა 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| ბექა ყლენტი | ტორპედო | ს | სპარტაკი 0:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 13 |
| დავით მუჯირი | კრილია | შ | ტომი 2:1 | 90 | | 7 | 3 | 3 |
| გიორგი ლომაია | ლუჩ-ენერგია | შ | შინიკი 1:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 12 |
| გოგიტა გოგუა | ნალჩიკი | შ | დინამო 1:0 | 17 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 0 | 6 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | ს | ტავრია 0:0 | 11 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | ს | ტავრია 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | მ. დონეცკი 3:1 | 67 | შეცვალეს | 9 | 2 | 8 |
| დავით კვირკველია | მ. ზაპოროჟიე | შ | მ. დონეცკი 3:1 | 90 | | 8 | 0 | 8 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | ს | ზაკარპატიე 3:2 | 0 | | 21 | 6 | 5 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | ს | შახტარი 0:2 | 90 | | 19 | 0 | 3 |
| კახა მჟავანაძე | ჩერნომორეცი | ს | შახტარი 0:2 | 90 | | 8 | 0 | 3 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | შ | ვოლინი 2:1 | 90 | 1 გოლი | 25 | 8 | 14 |
| ალეკო ამისულაშვილი | ტავრია | შ | დინამო 0:0 | 0 | | 8 | 0 | 7 |
| ირაკლი ქორთუა | ტავრია | შ | დინამო 0:0 | 0 | | 0 | 0 | 7 |
| ჯაბა კანკავა | არსენალი | შ | ვორსკლა 2:0 | 0 | | 7 | 0 | 11 |
| გიორგი ციმაკურიძე | სტალი | შ | ილიჩევეცი 1:0 | 90 | გააფრთხილეს | 26 | 2 | 10 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | იურმალა 1:0 | 82 | შეცვალეს | 4 | 0 | 2 |
| ზაალ ელიავა | სკონტო | ს | იურმალა 1:0 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 2 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | იურმალა 1:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 3 | 0 | 2 |
| თამაზ პერტია | დიტონი | ს | რიგა 0:0 | 11 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთ. | 2 | 0 | 4 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | აპოლონი 1:3 | 90 | | 18 | 7 | 4 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ანართოსისი | ს | აპოლონი 1:3 | 0 | | 22 | 6 | 4 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | ს | აპოლონი 1:3 | 0 | | 5 | 0 | 4 |
| ამირან მუჯირი | ანართოსისი | ს | აპოლონი 1:3 | 62 | შეცვალეს | 10 | 2 | 4 |
| ლევან ქებაძე | აშნა | ს | პარალიმნი 3:3 | 90 | | 19 | 7 | 9 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი გოგიაშვილი | ვოსტოკი | შ | ტობოლი 1:1 | 87 | შეცვალეს | 4 | 1 | 10 |
| ზვიად ჯელაძე | ვოსტოკი | შ | ტობოლი 1:1 | 90 | | 1 | 0 | 10 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვენგერმა ერიკსონს ბავშვი გაუგზავნა




**სვენ გორან ერიკსონმა** 23 კაცი დაასახელა, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანს. მათ შორისაა „არსენალის“ ფორვარდი თეო ულკოტი, ვისაც 17 წელი მარტში შეუსრულდა და ნაკრებში კი არა „არსენალის“ ძირითად შემადგენლობაში ერთხელაც არ უთამაშია. ულკოტი „მეთოფეებმა“ იანვარში „საუთჰემპტონიდან“ 12 მილიონ გირვანქად შეიძინეს და თავის ასაკში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი შეიქნა.

მას შემდეგ რაც უეინ რუნი დაშავდა, არსენ ვენგერმა ერიკსონს ულკოტის წაყვანა ურჩია. შვედი გასულ კვირაში სამჯერ დაესწრო „არსენალის“ ვარჯიშებს და ყმაწვილკაცის თამაშით მოიხიბლა. ულკოტს კარგად იცნობს ერიკსონის თანაშემწე ტორდ გრიპიც, რომელიც ბიჭის თამაშს 17-წლამდელთა ნაკრებში აკვირდებოდა.

„ვიცი, რომ ვრისკავ და ეს, ალბათ, ალოგიკურია, მაგრამ ორშაბათ დილას გადავწყვიტე ულკოტის 23 კაცში შეყვანა. ის ძალიან ნიჭიერია და მისი დატოვება არ ეგების“ — განაცხადა გუშინ შვედმა, რომელმაც ევრო-2004-ზე 18 წლის რუნი იახლა და არ შემცდარა.

არსენალელი კოლო ტურე კი, რომელიც „მეთოფეებში“ ანრის შემდეგ ყველაზე სწრაფია, ამბობს: „ვარჯიშებზე ულკოტის წინააღმდეგ მითამაშია და გეტყვით, რომ მას შესაშური სისწრაფე, ტექნიკა და საგოლე ალღო აქვს“.

მიუხედავად რუნისა და ოუენის ტრავმებისა, შვედმა ისინი შეიყვანა განაცხადში და ჩემპიონატის დაწყების წინადღეს მათი შეცვლის უფლება აქვს. ინგლისის ნაკრების სათადარიგო ხუთეული კი ასეთია: სკოტ კარსონი, ლუკ იანგი, ნაიჯელ რეო-კოკერი, ჯერმენ დეფო და ენდრიუ ჯონსონი.

**ვაჟა ხუციშვილი**

***მეკარეები:*** *პოლ რობინსონი (ტოტენჰემი), დევიდ ჯეიმსი (მანჩესტერ სიტი), რობერტ გრინი (ნორვიჩი)*

***მცველები:*** *გარი ნევილი (მანჩესტერ იუნაიტედი), რიო ფერდინანდი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჯონ ტერი (ჩელსი), ეშლი კოული (არსენალი), სოლ კემპბელი (არსენალი), ჯეიმი კარაგერი (ლივერპული), უეინ ბრიჯი (ჩელსი)*

***ნახევარმცველები:*** *დევიდ ბექჰემი (რეალი, ესპანეთი), მაიკ კარიკი (ტოტენჰემი), ფრენკ ლამპარდი (ჩელსი), სტივენ ჯერარდი (ლივერპული), ოუენ ჰარგრივსი (ბაიერნი, გერმანია), ჯერმენ ჯენასი (ტოტენჰემი), სტიუარტ დაუნინგი (მიდლსბრო), ჯო კოული (ჩელსი), აარონ ლენონი (ტოტენჰემი)*

***თავდამსხმელები:*** *მაიკლ ოუენი (ნიუკასლი), პიტერ კროუჩი (ლივერპული), უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), თეო ულკოტი (არსენალი)*



# ანრის კაკაზე ნერწყვი მოსდის

**იტალიური** მედიის ცნობით, არ არის გამორიცხული, ტიერი ანრი „მილანში“ გადავიდეს. მოგეხსენებათ, ფრანგი ფორვარდი „არსენალთან“ კონტრაქტს არახანგრძლივებს და სეზონის ბოლოს „მეთოფეების“ დატოვებას აპირებს. აქამდე მის სახელს კატალონიურ „ბარსელონას“ უკავშირებდნენ და ბევრჯერ ითქვა, ეს ტრანსფერი უკვე გადაწყვეტილიაო. 29 წლის თავდამსხმელს „ინტერი“ და „რეალიც“ უტრიალებენ, ახლა კი „მილანიც“ გამოჩნდა.

აპენინური პრესა ამტკიცებს, ანრის სერია A-ში დაბრუნება უნდა, სადაც 1999-2000 წლების სეზონში „იუვენტუსში“ უთამაშია. ამბობენ, ფრანგს ანდრეი შევჩენკოსა და კაკასთან ერთად თამაშის პერსპექტივა ხიბლავსო. დანარჩენს დრო გვიჩვენებს, იქამდე კი ანრისა და მის „არსენალს“ „ბარსელონასთან“ ჩემპიონთა ლიგის ფინალი აქვს სათამაშო.

„არსენალი“, სავარაუდოდ, 10 მილიონ გირვანქას მიიღებს. მეტს, ფეხბურთელში რომელიც 2007 წლის ზაფხულში თავისუფალი აგენტი ხდება, ალბათ, არავინ გადაიხდის. წესით, „მილანს“ ამ თანხის გადახდა არ უნდა გაუჭირდეს, მაგრამ „როსონერის“ დაცვაც გასაძლიერებელი ჰყავს და გვარიანი ფული ამ საქმეზეც დაიხარჯება. ვთქვათ ისიც, რომ „მილანს“ ასევე უკავშირებენ მეორე ინგლისური გრანდის, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჰოლანდიელ თავდამსხმელ რუუდ ვან ნისტელროის. სავარაუდოდ, იგი სეზონის ბოლოს დატოვებს „ოლდ ტრეფორდს“.

**ჭოჭი ჭანდელაკი**

# თხა იყოს, პოდოლსკი მოიგოს

**მას მერე,** რაც მიუნხენის „ბაიერნმა“ ზედიზედ მეორედ გაიფორმა დუბლი (მოიგო ქვეყნის ჩემპიონატი და თასი), კლუბის უფროსობამ მომავალ სეზონზე დაიწყო ფიქრი და ტრანსფერები დაგეგმა. ამჟამად ორ ფეხბურთელზეა საუბარი — ჰამბურგელ დანიელ ვან ბუიტენზე და კიოლნელ ლუკაშ პოდოლსკიზე.

„ბაიერნი“ პოდოლსკის დიდი ხანია, უტრიალებს და მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ წაიყვანს. ფაქტია, რომ 20 წლის ფეხბურთელი, რომელიც ახლა გერმანიის ყველაზე ნიჭიერ მოთამაშედ ითვლება, ბუნდესლიგიდან უკვე გავარდნილ „თხებში“ აღარ დარჩება.

„ლუკაშის აგენტთან უკვე ყველაფერი შევათანხმეთ და ახლა „კიოლნს“ უნდა მოველაპარაკოთ. 1 ივლისს პოდოლსკი ჩვენი ფეხბურთელი გახდება“ — თქვა „ბაიერნის“ მენეჯერმა ული ჰიონესმა.

რაც შეეხება „ჰამბურგის“ კაპიტან ვან ბუიტენს, მას ასევე თანხმობა განუცხადებია „ბაიერნში“ გადასვლაზე, მაგრამ 28 წლის ბელგიელმა მცველმა ახლა თავისი ამჟამინდელი კლუბი უნდა მოთაფლოს, რომ წასვლის ნება მიიღოს.

„მან გვაცნობა, რომ „ბაიერნში“ გადმოსვლაზე თანახმაა, მაგრამ „ჰამბურგს“ უნდა შეუთანხმდეს. იგი ძალიან კარგი ფეხბურთელია“ — დასძინა ჰიონესმა.

„ბაიერნმა“ ეს ორივე ტრანსფერი რომც გაჩარხოს, მიხაელ ბალაკის შემცვლელი მაინც დასჭირდება (იგი სეზონის ბოლოს მიდის). ფეხბურთელი, რომელიც ნახევარდაცვაში დაალაგებს თამაშს და ფორვარდებს დაეხმარება. ამაზე, ცხადია, თავად ხელმძღვანელობაც ფიქრობს, რადგან ბალაკის დონის მოთამაშის შეცვლა ძალიან ძნელია. თუმცა კანდიდატი ჯერჯერობით მხოლოდ ერთია — 22 წლის პარაგვაელი ხულიო დოს სანტოსი, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებენ. იგი მიუნხენურ კლუბში იანვარში გადაბარგდა, მაგრამ ბუნდესლიგაში დებიუტი ჯერაც არ ჰქონია.

ული ჰიონესი: „დოს სანტოსი ძალიან ნიჭიერია და მისგან ბევრს ველით“.

**ჭოჭი ჭანდელაკი**



ლუკაშ პოდოლსკი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ „ბაიერნის“ ფეხბურთელი გახდება

# ოცდაათტონიანი ლუკა

**ფლორენციის** „ფიორენტინამ“ გასულ კვირას „რეჯინა“ 5:2 გაანადგურა და მეოთხე ადგილი შეინარჩუნა. ხუთიდან ორი გოლი ლუკა ტონისა იყო, რომელსაც ამ სეზონში უკვე 30 მოუგროვდა, რაც სერია A-ში მოთამაშე ფორვარდისთვის საუცხოო შედეგია.

ისტორიას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ტონი მესამე იტალიელი ფეხბურთელია, ვისაც 30-გოლიანი ნიშნულისთვის მიუღწევია. 1930 წელს მილანის „ინტერის“ ფორვარდმა ჯუზეპე მეაცამ და 1934 წელს „იუვენტუსის“ თავდამსხმელმა ფელიჩე პლაჩიდო ბორელმა 31 გოლის შეგდება შეძლეს. ტონის ამ რეკორდის გამეორების ან გაუმჯობესების შანსი აქვს, თუ სერია A-ს ბოლო ტურში „კიევოს“ გაუტანს... გააჩნია რამდენს.

ვთქვათ ისიც, რომ ბოლოს 30-გოლიან ზღვარს 47 წლის წინ, მილანის „ინტერის“ არგენტინელმა თავდამსხმელმა ანტონ ვალენტინ ანჯელილიომ გადააბიჯა — 1958-59 წლების სეზონში 33 გოლი მიითვალა.

ლუკა ტონის, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიის ნაკრების მთავარ ფორვარდად მოიაზრება, რამდენიმე გრანდი უტრიალებს. ყველაზე აქტიური „ინტერია“, მაგრამ „ფიორენტინას“ მფლობელმა დიეგო დელა ვალემ აღნიშნა, რომ თავდამსხმელი „იებში“ რჩება.

„ტონი ჩვენთან რჩება და აქ გასარჩევი არაფერია. ასეთი სეზონის შემდეგ გუნდიდან მისი გაშვება შეიძლება?“ — თქვა დელა ვალემ.

„ფიორენტინა“, რომელიც გაკოტრდა და სერია C-ში დააქვეითეს, სწორედ დელა ვალემ დააყენა ფეხზე და უმოკლეს დროში ელიტაში დააბრუნა. ახლა ფლორენციელები ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებასთან ძალიან ახლოს არიან, მეხუთე ადგილზე მყოფ „რომას“ ორი ქულით უსწრებენ და ბოლო ტურში უმოტივაციო „კიევოს“ დასამარცხებლად ემზადებიან.

დიეგო დელა ვალე: „რეჯინასთან“ ჩინებულად ვითამაშეთ, მაგრამ ზეიმი მხოლოდ ბოლო ტურის მერე შედგება, როცა მეოთხე ადგილს გავინაღდებთ“.

**გიორგი ჭაჭაბაძე**



ლუკა ტონის
ცეკვა-ცეკვით გააქვს



# ჩუკოტკის გუბერნატორი შევასთან შევა

*რომან აბრამოვიჩმა „მილანთან“ ამასწინანდელ მოლაპარაკებაში, ანდრეი შევჩენკოს თაობაზე, პირადად მიიღო მონაწილეობა. დამდეგი სეზონთაშორისისთვის „ჩელსის“ მეპატრონე, რაც სამი წლის წინ კლუბი ჩაიბარა, სატრანსფეროდ ყველაზე დიდი ფულის დახარჯვას აპირებს. მიუხედავად ახალ სატრანსფერო პოლიტიკაზე ჟოზე მაურინიუს განცხადებისა („სამი გუნდიდან — სამი გუნდში“), ამ ზაფხულს „ჩელსი“ 5 ფეხბურთელის ყიდვას გეგმავს: კლუბს ორი ფორვარდი, ცენტრალური ნახევარმცველი და ასევე მარცხენა და ცენტრალური მცველები სჭირდება.*



**მას შემდეგ,** რაც 2003 წელს აბრამოვიჩმა „ჩელსი“ იყიდა და 10 ახალი მოთამაშის შეძენაზე მილიონები დახარჯა, ლონდონელებმა დანახარჯის შემცირება სცადეს. თუმცა ეს მცდელობანი წარსულს მიბარდა, რადგანაც მაურიუნიუ მოწადინებულია, პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში დომინანტი გუნდი შექმნას. იმ დროს, როცა მიხაელ ბალაკი „ჩელსის“ „ბაიერნიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით მიაკითხავს, ლონდონელთა მთავარი მიზანი ანდრეი შევჩენკოს მონადირება იქნება. შესაძლო ტრანსფერის მთავარი ინიციატორი თავად აბრამოვიჩია, რომელიც უკრაინელ ფეხბურთელთან მეგობრობს. ცნობილია, რომ გასულ კვირაში შევჩენკოს და აბრამოვიჩის სატელეფონო საუბარი შედგა, ხოლო რომან არკადიევიჩი კი მალე მილანში გამგზავრებას აპირებს, რათა 14 მაისს უკრაინელს შეხვდეს. შევჩენკო „პარმასთან“ მატჩში დაშავდა და 25 დღე ვერ ითამაშებს. რადგან „ჩელსის“ პრეზიდენტს „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტ გალიანისთან კარგი ურთიერთობა აქვს, შევჩენკოსთან მოლაპარაკება აპენინური გრანდის ნებართვის წარიმართება.

აბრამოვიჩი უკრაინელის გადაბირებას 2 წლის წინაც ეცადა, თუმცა მილანიდან მისი გამგზავრებიდან მეორე დღესვე, შევჩენკომ გუნდთან 5 წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი. მიუხედავად ამისა, „ჩელსის“ თავკაცს თავისი წამოწყებისა სჯერა. 7 წელია, უკრაინელი „მილანში“ თამაშობს და ამ გუნდის ერთგულია, თუმც იტალიელებს მედიასთან უთქვამთ, „ჩელსის“ 30 მილიონი გირვანქაზე ხელს როგორ ავუკრავთ, გაგვიძნელდებაო. თან შევჩენკოც გაისად 30-ისა გახდება. „მილანის“ ფინანსური მდგომარეობა არც ისე სავალალოა, მაგრამ „საპატიო ასაკში“ შესული შემადგენლობას მაინც გადახალისება მოუწევს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კარლო ანჩელოტი „რეალში“ წავა.

ინგლისელებს სათადარიგო ვარიანტებიც შეურჩევიათ. თუ შევჩენკო „ჩელსის“ ეტყვის უარს, სტემფორდბრიჯელები „მანჩესტერიდან“ რუუდ ვან ნისტელროის გადაყვანაზე იზრუნებენ. ჰოლანდიელს „იუნაიტედის“ დატოვება აქვს გადაწყვეტილი.

ჟოზე მაურინიუს კი მეორე თავდამსხმელის ყიდვაც უნდა, ფეხბურთელისა, რომელიც 4-4-2-ის სქემაში მეორე ფორვარდის როლს შეასრულებს. პორტუგალიელს სწრაფი მოთამაშე სჭირდება, „ჩელსის“ შეტევაში საქმეს რომ გამოასწორებს. ალბათ, ასეთი კაცი „ტოტენჰემის“ ჯერმენ დეფოა. იგი ჟოველთვის მოსწონდა ჟოზეს, მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელი სეზონი ჩააგდო.

„ჩელსიმ“ მცველებზე ზრუნვაც დაიწყო, რაკი უილიამ გალასი და რიკარდუ კარვალიუ აპირებენ წასვლას. ორივე ეს მეომარი „სტემფორდ ბრიჯს“, ალბათ, ზაფხულში დატოვებს და მაურინიუს გუნდს უკანა ხაზზე პრობლემები შეექმნება. „ჩელსის“ აგენტები ეშლი კოულს, ლედლი კინგს „მარსელის“ ტაივუს და „ოსერის“ იუნეს კაბულის აკვირდებიან.

ლედლი კინგმა „ტოტენჰემთან“ ახალ, ოთხწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი, თუმცა ეს ამბავი მას მაურინიუს გეგმებიდან ვერ აგდებს. ლუზიტანი მწვრთნელი კი დაცვის ცენტრალური პოზიციისთვის „ბარსელონას“ რაფაელ მარკესის ან „ევერტონის“ ჟოზეფ იობოს ყიდვას აპირებს.

**ლადო ხომერიკი**

# ტრიო უნდა დაიშალოს

## ელკანს მოჯის ნამღერი არ მოსწონს

**როგორც ჩანს,** საბოლოოდ გადაწყდა — ტურინის „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობაში სეზონის ბოლოს სერიოზული ცვლილებები მოხდება. ლუჩანო მოჯის გარშემო აგორებული მორიგი სკანდალი კლუბის მფლობელისთვის ბოლო წვეთი გამოდგა.

ცნობილი ტრიოს — ბეტეგა-ჯირაუდო-მოჯის — დაშლაზე უკვე დიდი ხანია, საუბრობენ, მაგრამ ახლა მთელი იტალია ალაპარაკდა, ეს საბოლოოდ გადაწყდაო. სამეული გასულ კვირას „პალერმოსთან“ მატჩს დაესწრო და „იუვეს“ გამარჯვებით ძალიან გაიხარა. ერთ-ერთ სექტორში კი ფანებს ტრანსპარანტი ჰქონდათ გამოფენილი, რომელზეც ეწერა — არ შეეხოთ ტრიოს! თუმცა ტრიოს შეეხნენ და შეეხო „იუვენტუსის“ პატრონი და **FIAT**-ის ერთ-ერთი მმართველი, ჯანი ანიელის ნათესავი ჯონ ელკანი. მას გადაჭრით ჯერ არაფერი უთქვამს, მაგრამ...

„გუნდი დღეს კარგად გამოიყურება და ჩვენც გადავწყვიტეთ, მოვსულიყავით, რადგან კიდევ ერთხელ გვეჩვენებინა, რომ კლუბს გვერდში ვუდგევართ და ბოლოდროინდელი სკანდალის მიმართ გულგრილნი არ ვართ. დადგა დრო, რაღაც-რაღაცეებზე ვილაპარაკოთ, მაგრამ არა ახლა და არა საჯაროდ“ — აღნიშნა ელკანმა.

მის გარდა თამაშს ესწრებოდა უმბერტო ანიელის ვაჟი ანდრეა, რომელიც მომავალი სეზონიდან, სავარაუდოდ, „იუვეს“ ვიცე-პრეზიდენტი გახდება. სხვათა შორის, „დელე ალპიზე“ უფროსობის გამოჩენა იმითაც იყო გამოწვეული, რომ ეს „ბებერი ქალბატონის“ ბოლო საშინაო მატჩი გახლდათ ამ სეზონში. ზაფხულში კი სტადიონის რეკონსტრუქცია დაიწყება.



ჯონ ელკანი



ფრანკო ბალდინი და ფაბიო კაპელო

ამბობენ, ერთადერთი ვინც „ტრიოდან“ შეიძლება კლუბში დარჩეს, რობერტო ბეტეგაა. ხოლო მოჯის ადგილს „რომას“ ყოფილი ტექნიკური დირექტორი ფრანკო ბალდინი დაიკავებს.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ლუჩანო მოჯისა და მთლიანად „იუვენტუსის“ მსაჯებთან საეჭვო ურთიერთობაზე კიდევ ერთხელ ისაუბრეს სხვა გრანდების თავკაცებმა და ოთხეულში მყოფი დანარჩენი სამი გუნდის მწვრთნელთა კომენტარებს შემოგთავაზებთ.

„ეს უკვე აუტანელია. თუ ყველაფერი ასევე დარჩა, იტალიაში აღარ გავჩერდები. რა აზრი აქვს მონაწილეობას ჩემპიონატში, რომლის გამარჯვებულიც წინასწარაა ცნობილი. ვითარების შეცვლას მონდომება სჭირდება, ნორმალური წესები და პატიოსანი ხალხი. სხვაგვარად სერია **A**-ს აზრი ეკარგება, არც ფულის გადაყრა ღირს და არც ნერვების მოშლა. პატიოსანი და გაუსვრელი კლუბებისთვის ჯობია, სათამაშოდ ქუჩებში გავიდნენ, სადაც უფრო გაერთობიან“ — თქვა „ინტერის“ თავკაცმა რობერტო მანჩინიმ.

„მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი: „ამ ყველაფერს ბოლო უნდა მოეღოს და ახლა შესაფერის დროა მუშაობის დასაწყებად. ამისთვის ქომაგების მხარდაჭერა და საერთო აქტიურობაა საჭირო“.

„ჩვენ ბევრს ვმუშაობთ და ვცდილობთ თამაში უფრო და უფრო გამოვასწოროთ, რითაც წარმატების მიღწევა გვინდა. თუმცა სხვათა თაღლითობა საქმეს ბევრად გვირთულებს“ — „ფიორენტინას“ თავკაცი ჩეზარე პრანდელი.

**გიორგი ქაქაბაძე**

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** „უიგანის“ ფრანგი მცველი პასკალ ჩიმბონდა გუნდიდან წასვლას აპირებს. არადა, ერთი თვის წინ კლუბის პატრონს სიტყვა მისცა, დავრჩებიო. „ეს ამბავი „არსენალთან“ მატჩის წინ შევიტყვე და გავბრაზდი — თქვა „უიგანის“ პატრონმა დეივ უელანმა — წასვლა თუ უნდა, წავიდეს. უპირო ხალხი გუნდში არ გვჭირდება“.

**ისრაელის** თელ ავივის „მაკაბის“ ფეხბურთელმა ეიალ ბერკოვიჩმა კარიერა დაასრულა. 34 წლის ნახევარმცველი „მაკაბიში“ შარშან ინგლისური „პორტსმუთიდან“ გადავიდა, მანამდე კი ცხრა სეზონი ბრიტანეთის სხვადასხვა კლუბებში გაატარა. ბერკოვიჩს ისრაელის ნაკრებში 78-ჯერ უთამაშია.

**ფრანგული** ფეხბურთის ყოფილმა ვარსკვლავმა მარსელ დესაიმ გუშინ ოფიციალურად განაცხადა, რომ კარიერას ასრულებს. 37 წლის ფრანგს ნაკრების მაისურა 116-ჯერ მოურგია და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონია. ბოლოს ყატარის „ალ გარაფაში“ თამაშობდა, საიდანაც 2005-ის ნოემბერში წავიდა.

**ინგლისური** „ბოლტონის“ მწვრთნელმა სემ ალარდაისმა დაადასტურა, რომ გუნდიდან წავლენ ბრუნო ნგოტი და ჯეი-ჯეი ოკოჩა, რომლებსაც კონტრაქტები დაუმთავრდათ. ორივემ ოთხოთხი სეზონი გაატარა „ბოლტონში“. ნგოტი 34 წლისაა, ოკოჩა კი 32-ის. ალარდაისის თქმით, გუნდს გადახალისება სჭირდება.

**გერმანული** „დორტმუნდის“ ნახევარმცველი სებასტიან კელი „აინტრახტთან“ მატჩში დაშავდა და შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშოს. შეგახსენებთ, რომ 26 წლის ფეხბურთელი მინდორს არცთუ დიდი ხნის წინ, საკმაოდ სერიოზული ტრავმის მოშუშების შემდეგ დაუბრუნდა. „ექიმები საბოლოო დიაგნოზს მალე დასვამენ, იმედია, მყესები დაზიანებული არ არის“ — თქვა „დორტმუნდის“ სპორტულმა დირექტორმა მიხაელ ცორკმა.

**ფრანგულმა** „ლიონმა“ ჟერარ ულიესთან კონტრაქტი 2008 წლამდე გაახანგრძლივა. აქამდე მოქმედ შეთანხმებაში იყო პუნქტი, რომლის თანახმადაც, თუ 58 წლის მწვრთნელი „ლიონს“ გააჩემპიონებდა, მასთან კონტრაქტი ავტომატურად ორი სეზონით გაგრძელდებოდა.

**ინგლისური** „ნიუკასლის“ მწვრთნელმა გლენ როუდერმა აღნიშნა, რომ მაიკლ ოუენი და ემრე ბელოზოღლუ კლუბიდან არ წავლენ. ცოტა ხნის წინ გავრცელდა ცნობა, ამ ფეხბურთელებით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, მაგრამ, როუდერის თქმით, „კაჭკაჭები“ წამყვან მოთამაშეებთან განშორებას არ აპირებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მსოფლიოს თასი

## გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

FIFA FUSSBALL-WELTMEISTERSCHAFT DEUTSCHLAND 2006

**H ჯგუფი**

**ესპანეთი, უკრაინა, საუდეთი, ტუნისი**

# ესპანური ტრიადა: მრისხანე, მეცნიერი და ანგელოზი



ლუის არაგონესი

**ერთი** შეხედვით, ესპანეთის ნაკრებს გერმანია 2006-ზე მოხვედრა არ უნდა გასჭირვებოდა — კასტილიელთა შესარჩევ ჯგუფში ხომ სან მარინოს, ბელგიის, ბოსნიის, ლიტვისა და სერბეთის გუნდები იყვნენ. თუმცა „წითელმა რისხვამ“ (**LA FURIA ROJA**, ესპანელთა ეროვნული გუნდის მეტსახელი) გულშემატკივრები ბოლომდე დაძაბულად ამყოფა და მუნდიალის საგზური ოდენ სლოვაკეთთან საპლეიოფო ჯახში გაინაღდა. არაგონესის ბიჭებს შესარჩევი ეტაპის არც ერთი მატჩი არ წაუგიათ, მაგრამ ბოსნიასთან და ლიტვასთან ფრეებმა თავისი გააკეთა და მეორეადგილოსან ესპანელებს სლოვაკებთან დასჭირდათ ჭიდილი. „ლივერპულის“ თავდამსხმელმა ლუის გარსიამ გაიბრწყინა და სლავებს პირველ შეხვედრაში 3 დიდებული გოლი შეუგდო. მერე ფერნანდო მორიენტესმა და ფერნანდო ტორესმაც გაიტანეს. მეორე მატჩი ფრედ დასრულდა და ესპანეთი მსოფლიოს ჩემპიონატზე მეთორმეტედ გავიდა.

ისტორიულად ესპანეთს ყოველთვის ჰყავდა ვარსკვლავები, თუმცა მუნდიალებზე დიდი მიღწევებით ვერ დაიკვეხნის. ესპანელებმა მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხე ადგილს შორეულ, 1950 წლის მუნდიალზე გამოჰკრეს ხელი. ამის შემდეგ ინჩასები გუნდის წარმატებას ყველაზე მეტად 1982-ის ჩემპიონატზე ელოდნენ, თუმცა მაშინ ტურნირის მასპინძელი მერვედფინალს ვერ გასცდა. წინა, კორეა-იაპონიის მუნდიალზე, პირინეელები მეოთხედფინალში გავიდნენ, სადაც გუს ჰიდინკის კორეას გადაეყარნენ და პენალტებით წააგეს.

„ფურია როხას“ ევროპის ჩემპიონატი ერთხელ მოუგია (1964), ერთხელაც (1984) ამ ტურნირის ფინალში უთამაშია. ის პირველი და ჯერჯერობით ბოლო ევროტრიუმფი ესპანელებმა საბჭოთა კავშირის ნაკრებთან იზეიმეს. მაშინ ულტრამემარჯვენე დიქტატორ ფრანკოს ქვეყანამ კომუნისტურ იმპერიას მოუგო...

* * *

*მწვრთნელი:* ლუის არაგონესი, იგივე „მეცნიერი“ დაიბადა 1938 წელს და ფეხბურელის კარიერა 19 წლისამ „ხეტაფეში“ დაიწყო. შემდეგ „რეალში“, „რეკრეატივოში“, „ოვიედოსა“ და „ბეტისში“ ითამაშა, სანამ მადრიდის „ატლეტიკოში“, მისი დიდების გუნდში გადავიდოდა. “ათლეტებთან“ ერთად ლუისმა ესპანური პრიმერადივიზიონი, ორჯერ ქვეყნის თასი და 1969-70-ის სეზონის მთავარმეგოლეობა მოინადირა. ნაკრების ღირსებას 11 მატჩში იცავდა, „ფურია როხას“ ფორმით სამი გოლიც შეაგდო, თუმც მუნდიალზე არასდროს უთამაშია.

მწვრთნელობა არაგონესმა 1975 წელს დაიწყო „ატლეტიკოში“. შემდეგ 9 ესპანურ გუნდს უთავკაცა, რომელთა შორის „ვალენსია“, „ბეტისი“ და „ბარსელონაც“ იყვნენ. „მეცნიერი“ ბუნებით მებრძოლია და მისი შეგირდებთან კინკლაობა (მაგალითად, რომარიოსთან ჩხუბი) ხშირად მოქცეულა მედიის ყურადღების ცენტრში. ლუის არაგონესი სკანდალურ, თუმცა უაღრესად ნიჭიერ მწვრთნელთა კატეგორიას მიეკუთვნება. ჯერჯერობით მისი ბოლოდროინდელი გამოხდომა „არსენალის“ და საფრანგეთის ნაკრების ლიდერ ტიერი ანრის უკავშირდება — ეროვნული გუნდის ვარჯიშზე ხოსე ანტონიო რიეისს უთხრა, მიდი, ითამაშე, მაგ შავმა ანრიმ როგორ უნდა გაჯობოსო...

ესპანეთის თავკაცად 2004-ის 18 აგვისტოს დანიშნეს და მას შემდეგ კასტილიელებს წაგება არ უნახავთ. 19 თამაშში 12 გამარჯვება და 7 ფრე მოინაგრეს. „მუნდიალზე ჩემთვის და ესპანეთის ნაკრებისთვის ჩემპიონობის გარდა არავითარი სხვა მიზანი არ იარსებებს. გუნდმა, რომელსაც რაული, ფერნანდო ტორესი, კარლეს პუიოლი, ლუის გარსია და ხავი ჰყავს, ჩემპიონობისთვის უნდა იბრძოლოს“ — აცხადებს დონ ლუისი.

* * *

*კაპიტანი და ახლანდელი ვარსკვლავი:* რაულ გონსალეს ბლანკო, იგივე რაული, იგივე **EL ANGEL DE MADRID** („მადრიდის ანგელოზი“) 1977 წელს დაიბადა და „რეალში“ სადებიუტო მატჩი 1994-ში ჰქონდა. სამეფო კლუბთან ერთად 1994-95, 1996-97, 2000-01 და 2002-03-ის პრიმერადივიზიონი მოიგო. სამჯერ (1997, 2001 და 2003) ესპანეთის სუპერთასს დაეპატრონა, ორჯერ კი (1998-99 და 2000-01) პირინეელთა ჩემპიონატის მთავარმეგოლე იყო. ასევე სამჯერ მოუგია ჩემპიონთა ლიგა — 1997-98, 1999-2000 და 2001-02 წლების სეზონში. ნაკრებში 1996-დან თამაშობს. არის „ფურია როხას“ ყველა დროის მთავარმეგოლე, 89 მატჩში 44 გოლი გაიტანა. მონაწილეობდა 1998 და 2002 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებში.

* * *

*შესარჩევი ეტაპის ვარსკვლავი:* ფერნანდო ხოსე ტორეს სანსი, მადრიდის „ატლეტიკოსა“ და ნაკრების უნიჭიერესი „ელ ნინიო“. „ათლეტებში“ მისი დებიუტი 2000 წელს შედგა, ხოლო ნაკრებში პირველად 2003-ის 6 სექტემბერს ითამაშა პორტუგალიასთან. ფერნანდომ გერმანიის მუნდიალის შესარჩევ ეტაპზე 8 გოლი გაიტანა და ესპანელთა მთავარმეგოლე გახდა. საერთოდ, ნაკრებში მის ანგარიშზე 26 მატჩში 10 გოლია.

* * *

*ლეგენდა:* ზამორა, ლანგარა, ზარა, კუბალა, დი სტეფანო, ხენტო, ლუის სუარესი, მარსელინო, ბუტრაგენიო — მოკლედ, რომელი ერთი გნებავთ: ისე კი, ნაკრებში ყველაზე მეტჯერ მეკარე ანდონი სუბისარეტას უთამაშია. „სუბი“ 1986, 1990, 1994 და 1998 წლების მუნდიალების მონაწილეა. საერთო ჯამში კასტილიელთა კარი 126 შეხვედრაში დაიცვა.



ანდონი სუბისარეტა



რაული

* * *

**+** ბოლო ოცი წელია, ესპანეთის ნაკრებს ასეთი ძლიერი შემადგენლობა არ ჰყოლია. მეკარე კასილიასი, მცველი პუიოლი და ფორვარდი რაული თავიანთ პოზიციებზე მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოები არიან.

* * *

**—** ისტორიული უიღბლობა. თითქოს ყოველთვის ძლიერი გუნდი ჰყავთ, თუმცა მუნდიალზე წარმატებას ვერ აღწევენ.

* * *

*აზრი:* „ეროვნული გუნდის შესაძლებლობებში ეჭვი მეპარება. მუდამ კარგი ფეხბურთელები გვყავდა და ნახევარფინალს მაინც ვერ გავცდით. გერმანიაში ნაკრებისგან ოქროს მედლებს არ ვითხოვ“ — პაკო ლორეტი, **NOU TV**-ს ჟურნალისტი.

## ესპანეთის ნაკრების ჯგუფური მატჩების განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 14 ივნისი | ესპანეთი — უკრაინა | ლაიპციგი |
| 19 ივნისი | ესპანეთი — ტუნისი | შტუტგარტი |
| 23 ივნისი | საუდეთი — ესპანეთი | კაიზერსლაუტერნი |

## ესპანეთის გზა ფინალური ეტაპისაკენ

| | | |
|---|---|---|
| 08.09.2004 | ბოსნია — ესპანეთი | 1:1 |
| 09.10.2004 | ესპანეთი — ბელგია | 2:0 |
| 13.10.2004 | ლიტვა — ესპანეთი | 0:0 |
| 09.02.2005 | ესპანეთი — სან მარინო | 5:0 |
| 30.03.2005 | სერბეთი — ესპანეთი | 0:0 |
| 04.06.2005 | ესპანეთი — ლიტვა | 1:0 |
| 08.06.2005 | ესპანეთი — ბოსნია | 1:1 |
| 07.09.2005 | ესპანეთი — სერბეთი | 1:1 |
| 08.10.2005 | ბელგია — ესპანეთი | 0:2 |
| 12.10.2005 | სან მარინო — ესპანეთი | 0:6 |

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 10 | 6 | 4 | 0 | 16:1 | 22 |
| ესპანეთი | 10 | 5 | 5 | 0 | 19:3 | 20 |
| ბოსნია | 10 | 4 | 4 | 2 | 12:9 | 16 |
| ბელგია | 10 | 3 | 3 | 4 | 16:11 | 12 |
| ლიტვა | 10 | 2 | 4 | 4 | 8:9 | 10 |
| სან მარინო | 10 | 0 | 0 | 10 | 2:40 | 0 |

### პლეი ოფი

| | | |
|---|---|---|
| 12.11.2005 | ესპანეთი — სლოვაკეთი | 5:1 |
| 16.11.2005 | სლოვაკეთი — ესპანეთი | 1:1 |

# ჰოლანდიამ პიტბული გააგდო

*„სამი თვის წინ ვინმეს რომ ეთქვა, მოედანს დაუბრუნდები, ნახვალ საფრანგეთში და ამ ქვეყნის თასს მოიგებ „დიჟონთან“ ერთადო, არათუ არ დავუჯერებდი, ფანტაზიორად ჩავთვლიდი“ — გვითხრა გუშინ ვახტანგ ნაცვლიშვილმა, რომელმაც საფრანგეთის თასის ფინალში „ორლეანს“ 25 წუთში 13 ქულა ჩაუგდო, 9 ბურთი მოუხსნა და დიჟონელთა გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. ნაცვლიშვილი, რომელსაც ორი წლის წინ მოედანზე ფილტვი გაუსკდა და მძიმე ოპერაცია გადაიტანა, ისევ მოედანზეა, ისევ იშტაზეა, ისევ ლიდერობს. საქართველოს ნაკრების ოდინდელ კაპიტანს და ეროვნულ ნაკრებში ახლაც ალბათ ხუთეულდაბევებულ ნაცვლიშვილს გუშინ დიჟონში რომ დავუკავშირდით, ძალიან გახარებული იყო...*




# ვა, ტო, თასი?

## ნაცვლიშვილმა საფრანგეთში ფორმა და ლიდერობა დაიბრუნა

— მაგარი თამაში გამოვიდა, მართალია, ქვედა დივიზიონის გუნდს ვხვდებოდით, მაგრამ „ორლეანმა“ სათანადო წინააღმდეგობა გაგვიწია და მაქსიმუმი რომ არ გაგვეღო, ალბათ, თასზე ვერც ვიფიქრებდით.

— ფინალში „ორლეანი“ რომ შეგხვდათ, ალბათ, გაგიმართლათ...

— მიმაჩნია, რომ ჩვენთვის ფინალი ნახევარფინალში იყო, ანდაც მეოთხედფინალში. კენჭისყრა ისე დაემთხვა, რომ ერთ მხარეს ძლიერი გუნდები მოხვდნენ და მეორე მხარეს შედარებით სუსტები. მეოთხედფინალში ეროვნულ ჩემპიონატში ამჟამად მეორეზე მყოფ „გრაველინს“ მოვუგეთ, ნახევარფინალში კი თვით ქვეყნის ჩემპიონი „პო ორტეზი“ დავაჩოქეთ. „ორლეანის“ ნაცვლად გადამწყვეტი მატჩი „პო ორტეზთან“ რომ გვეთამაშა, ალბათ, დავამარცხებდით.

— თქვი, ფინალში მაინც გაგვიჭირდაო...

— ძირითადად კი ვლიდერობდით, მაგრამ ერთი-ორი მომენტში გაგვიჭირდა. ერთხელ მესამე მეოთხედში წამოგვეწია „ორლეანი“ 4 ქულით და სწორედ მაშინ ჩავაგდე სამქულიანი, ერთხელაც მეტოქე ბოლო ათწუთეულში წამოგვეწია და მე და ფიჯეი ლუქსის ორქულიანებით ისევ საიმედო უპირატესობა მოვიპოვეთ.

— გამოდის, გამარჯვებაში ლომის წილი დაგიდევია, მით უმეტეს, შენს სტატისტიკას თუ გავითვალისწინებთ...

— ტრაბახი იქით იყოს და, მართლაც კარგად ვითამაშე. განსაკუთრებით ის მახარებს, რომ თასის გათამაშებაში მერვედფინალის შემდეგ ყველა მატჩი ვითამაშე და ურიგო არც იმ მატჩებში ვყოფილვარ. თუმც ფინალში ნათამაშევმა ყველას აჯობა, გუნდის ხელმძღვანელობაც კმაყოფილია და ესეც რომ არა, თავად მეც ვიცი, რომ კარგად ვითამაშე.

— რამდენად პრესტიჟულია ეს თასი?

— ესაა საფრანგეთის ოფიციალური თასის გათამაშება, რომელშიც ქვედალიგელებიც მონაწილეობენ. არის კიდევ „ასთა თასი“, სადაც ქვეყნის 8 წამყვანი გუნდი თამაშობს და პრესტიჟულობით ეგებ ამ თასსაც აჯობოს, მაგრამ სათასო პრინციპიდან გამომდინარე, ეს ტურნირი, რომელიც ჩვენ მოვიგეთ, რანგით პირველია.

— გამარჯვება როგორ აღნიშნეთ?

— ზეიმი მოედანზევე დავიწყეთ. არადა, დარბაზი იყო, ორი თბილისური სპორტის სასახლე ვერ გასწვდება. 20 ათასი ადგილი პირთამდე შეივსო. დიჟონის მუნიციპალიტეტმა მატარებელი დაიქირავა, გულშემატკივრებით გაძეძგა და პარიზისკენ გამოამგზავრა. მარტო დიჟონელი 10 ათასი კაცი იყო და ამას გარდა სხვებიც გვქომაგობდნენ. გამარჯვებისთანავე შამპანურს რომ წავაძრეთ საცობი, მერე, მგონი, აღარც შეწყვეტილა ამის კეთება. პარიზში ხომ მოვილხინეთ და იმ ღამესვე ავტობუსით გამოვბრუნდით დიჟონში, სადაც ღამის 2 საათზე ჩავედით და ქუჩები ხალხით გაჭედილი დაგვხვდა. დიჟონი პატარა ქალაქია და ეს გამარჯვება მთელმა მოსახლეობამ აღნიშნა. დარბაზში რომ მივედით, ტრიბუნები ხალხით იყო სავსე.

— ალბათ, თასის მოგება „დიჟონის“ მინიმუმი იყო ამ სეზონში...

— მინიმუმი კი არა, მაქსიმუმი. ამ გუნდს რომ უჭირდა, თავად ხელმძღვანელებმაც იცოდნენ და შედეგიც არასახარბიელო იყო, სანამ „დიჟონი“ გაძლიერდებოდა. იანვრის შემდეგ ჩემთან ერთად დიჟონელებმა ფიჯეი ლუქსი შეიმატეს. მაშინ ჩვენი გუნდი მე-16 ადგილზე იყო საფრანგეთის ჩემპიონატში და ახლა პლეი ოფი თითქმის განაღდებული გვაქვს. თუ მე და ლუქსის შემატების შემდეგ შედეგებს დავთვლით, „დიჟონი“ პირველ ადგილზე იქნება საფრანგეთის ჩემპიონატში.

— ეგ კარგი, მაგრამ პლეი ოფში გასვლა მაინც სათუოა...

— თითქმის გადაწყვეტილია, რომ პლეი ოფში ვითამაშებთ. ჩვენი კონკურენტი პარიზის „რასინგია“, რომელსაც ბოლო ორი მატჩი საფრანგეთის საუკეთესო კლუბებთან — „პო ორტეზთან“ და „ვილერბანთან“ აქვს. ჩვენი ერთ-ერთი მეტოქე კი ბოლოადგილოსანი გუნდია. „დიჟონმა“ ბოლო ორივე მატჩი უნდა წააგოს და „პარიზმა“ ორივე უნდა მოიგოს, პლეი ოფის გარეთ რომ დავრჩეთ, რაც არა მგონია, მოხდეს.

— ბოლოს ნაკრებზე გკითხავ. ასეთი თამაშის შემდეგ, ალბათ, ნაკრებსაც გამოადგები...

— ჯანი ნამდვილად აღარ მაწუხებს და, როგორც ბოლო მატჩებმა ცხადყო, ფორმაშიც შევედი. საქართველოს ნაკრებს ყოველთვის ვეხმარებოდი, მაქსიმუმზე მეტს ვილებდი და ახლა, როცა საკუთარი თავის ვირწმუნე, საქართველოს ნაკრებსაც გამოვადგები.

**ირაკლი პერტაია**

**2005-06 წლების სეზონის უძვირფასესი მოთამაშის გამოკითხვა**

| | I | II | III | IV | V | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტივ ნეში (ფინიქსი) | 57 | 32 | 20 | 8 | 6 | 924 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 16 | 41 | 33 | 23 | 7 | 688 |
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | 14 | 22 | 25 | 36 | 17 | 544 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 22 | 11 | 18 | 22 | 30 | 483 |
| ჩონსი ბილაფსი (დეტროიტი) | 15 | 13 | 22 | 18 | 25 | 430 |
| დუეინ ვეიდი (მაიამი) | - | 3 | 4 | 9 | 19 | 87 |
| ელტონ ბრენდი (კლიპერსი) | 1 | 1 | 2 | 3 | 14 | 50 |
| ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | - | 2 | - | 6 | 1 | 33 |
| ტონი პარკერი (სან ანტონიო) | - | - | 1 | - | 4 | 9 |
| ალენ აივერსონი (ფილადელფია) | - | - | - | - | 1 | 1 |
| შონ მარიონი (ფინიქსი) | - | - | - | - | 1 | 1 |

*პირველი ხმა 10 ქულა; მეორე — 7; მესამე — 5; მეოთხე — 3; მეხუთე — 1*

# მაშ, ისევ ნეში?!

## ამერიკას კანადელი შეუყვარდა

**ფინიქსური** გაზეთი „არიზონა რეფაბლიქი“ არც ცრუობდა და არც ცდებოდა, ორი კვირის წინ წინასწარ რომ ასახელებდა 2005-06 წლების სეგულარული სეზონის უძვირფასეს მოთამაშეს.

კვირადღეს გაზეთის პროგნოზი გამართლდა, ნბა-ს ოფიციალურმა პრესრელიზმა ამერიკას ამცნო, რომ უძვირფასესის უპრესტიჟულესი ტიტული ზედიზედ მეორედ შეხვდა „ფინიქს სანზის“ 32 წლის კანადელ გამთამაშებელ სტივ ნეშს. ლიგის საუკეთესო მეპასემ ჟურნალისტთა გამოკითხვაში საკმაოდ იოლად აჯობა კობი ბრაიანტს, ლებრონ ჯეიმსს, დირკ ნოვიცკის, ჩონსი ბილაფსს და ჩავლილ რეგულარულში თავჭამოჩენილ ყველა სხვა ვარსკვლავს. 125 ჟურნალისტიდან 123-მა ივი 5 საუკეთესოს შორის შეიყვანა, 57-მა კი პირველი ხმა მისცა. სეზონის ბომბარდირ კობი ბრაიანტს ნეშის შემდეგ ყველაზე მეტი პირველი ხმა კი ერგო, მაგრამ ჯამში მასზე მეტი ქულა დააგროვეს ჯეიმსმა და ნოვიცკიმ. სათქმელია, რომ ნეშის „ფინიქსმა“ ბრაიანტის „ლეიკერსი“ პლეი ოფში 4:3 დაამარცხა, არადა, სერიას 1:3 აგებდა.

სტივ ნეში შეიქნა ნბა-ს ისტორიაში მხოლოდ მე-9 მოთამაშე, რომელმაც უძვირფასესის ჯილდო ზედიზედ მეორედ ირგუნა და მე-11, რომელსაც ეს პრიზი ორჯერ შეხვდა.



**2006 NBA Playoffs**

7 მაისი

მეორე რაუნდი

| აღმოსავლეთი | დასავლეთი |
|---|---|
| დეტროიტი 1:0 კლივლენდი | სან ანტონიო 1:0 დალასი |
| **დეტროიტი 113:86 კლივლენდი** | **სან ანტონიო 87:85 დალასი** |
| დეტროიტი: პრინსი (24), ჰამილტონი (20), ბილაფსი (14 ქულა, 10 პასი) | სან ანტონიო: დანკანი (31 ქულა, 13 მოხსნა), პარკერი (19), ჯინობილი (15) |
| კლივლენდი: ჯეიმსი (22), ილგაუსკასი (14) | დალასი: სტეკჰაუსი (24), ნოვიცკი (20) |

ჰოკეი

**პლეი ოფი 2006**

7 მაისი

დასავლეთი

| | |
|---|---|
| სან ხოსე 1:0 ედმონტონი | ანაჰაიმი 2:0 კოლორადო |
| **სან ხოსე 2:1 ედმონტონი** | **ანაჰაიმი 3:0 კოლორადო** |
| *1:1 1:0 0:09* | *1:0 2:0 0:0* |
| 0:1 შპაჩეკი (3), 1:1 მარლო (8), 2:1 ერჰოფი (24) | 1:0 გეცლაფი (19), 2:0 სალეი (25), 3:0 ლუპული (33) |



# პირველი კაცი პირველი წავიდა

ჰელსინკის ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული ერთად იყვნენ ჩვენი პირველი ოლიმპიური ჩემპიონები: მზია ჯუღელი, რაფაელ ჩიმიშკიანი და დავით ციმაკურიძე. ერთად იყვნენ ჭირშიც და ლხინშიც, უფრო კი ათასგვარ საიუბილეო ღონისძიებებსა და შეხვედრებზე და სხვა სასიამოვნო თავყრილობებზე, გუშინ კი ამ ბრწყინვალე სამეულს ერთი გამოაკლდა — დავით ციმაკურიძე.

სწორედ გუშინ, „თბილისი მარიოტში" ჩვენს ახალგაზრდა ოლიმპიელებთან შეხვედრაზე, როცა ამ სამეულიდან მხოლოდ ორნი, მზია ჯუღელი და რაფაელ ჩიმიშკიანი მოვიდნენ, გულმა რეჩხი გვიყო. მოვიკითხეთ და ავადაო, იქიდან გამოსულებმა კი დავით ციმაკურიძის გარდაცვალების ამბავი შევიტყვეთ.

81 წლის ამაგდარ კაცს მთელი ჩვენი სპორტული და არა მხოლოდ სპორტული საზოგადოებრიობა დიდი მწუხარებით ვეთხოვებით. ასეთ დროს მიღებულია განსვენებულის ცხოვრებისა და ღვაწლის გახსენება.

ჩვენც გავიხსენოთ: დავით ციმაკურიძე იყო არა მხოლოდ პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში პირველი მოჭიდავე, რომელმაც ასეთ წარმატებას მიაღწია, რისთვისაც მას სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭეს. მერე, როცა აქტიურ სპორტს გამოეთხოვა, საბჭოთა მოჭიდავეთა ნაკრებს ჩაუდგა სათავეში და იმ გუნდმა 1956 წელს მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე უძლიერესის სახელი მოიპოვა, ამისათვის დავით ციმაკურიძეს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭეს.

მანამდე იყო „ამურას", როგორც დავით ციმაკურიძეს შინ თუ გარეთ მოფერებით უწოდებდნენ, მრავალი გამარჯვება.

დავით ციმაკურიძე გახლდათ საბჭოთა კავშირის შვიდგზის ჩემპიონი და ბუქარესტის ახალგაზრდობის I საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების ვერცხლის პრიზიორი, აგრეთვე მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.

ფოთში დაბადებული დავით ციმაკურიძე თავდაპირველად ფეხბურთით, კრივით, ველოსპორტითა და ტანვარჯიშით იყო გატაცებული, მერე კი ურჩიეს, შენ ისეთი მამის შვილი ხარ, რომ კარგი მოჭიდავე დადგებიო.

დავითის მამა, მიხეილ ციმაკურიძე, რომელსაც ხალხი მიშიკო მაჩაბლის ფსევდონიმით უფრო იცნობდა, უბრალო ფალავანი იყო, ცირკის არენაზე გამოდიოდა და იქ დიდი სახელიც დაიგდო, მამის გამარჯვებები კი დავითმა გააგრძელა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი, სახელგანთქმული მოჭიდავე

**დავით ციმაკურიძე**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# ოლიმპიელებმა ხელი ხელს დაჰკრეს


რამაზ ნოზაძე

**საქართველოს** ოლიმპიელთა ეკონომიკური გასაჭირი შესამჩნევად გამოსწორდა მას მერე, რაც ბადრი პატარკაციშვილმა ოლიმპიური ფონდი შექმნა. მანამდე ჩვენი ოლიმპიელები პრაქტიკულად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიურ სტიპენდიის ამარა იყვნენ, რომელიც სულ რამდენიმე კაცზე იყო გათვლილი, თუმცა იგი უფრო მეტ სპორტსმენზე ნაწილდებოდა.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ამგვარ პროგრამას კვლავაც აგრძელებს და იგი სპორტსმენთა მიერ ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების მოპოვებასა და იქ წარმატების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. ათენის ოლიმპიური თამაშების მზადების პერიოდში ასეთ სტიპენდიას ჩვენი ათი სპორტსმენი ღებულობდა და ათივემ ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა, ოთხმა კი მედლებიც.

როგორც გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტში" შეკრებილ ჩვენს ოლიმპიელებთან საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა თქვა, ამგვარი მაჩვენებლით ქართველები მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულში აღმოჩნდით.

ასეთი პროგრამა პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვისაც გრძელდება. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში სტიპენდიანტთა კანდიდატებს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ქვეყნის შესაბამისი სპორტული ფედერაციებისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ ერთობლივი შერჩევით წარადგენს.

გუშინ „თბილისი მარიოტში" გაცხადდა ამ სპორტსმენთა ვინაობა. მათ შორის ერთადერი ქალია — ტყვიის მსროლელი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და ვერცხლის პრიზიორი ნინო სალუქვაძე, რომელმაც პეკინის ლიცენზია უკვე მოიპოვა და მისთვის ეს ოლიმპიადა მეექვსე იქნება, რითაც იგი საქართველოში რეკორდსმენია.

სალუქვაძის გარდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სტიპენდიები დაენიშნათ: ლუკა კურტანიძეს, გიორგი გოგშელიძეს, რევაზ მინდორაშვილს (სამივე თავისუფალი ჭიდაობა), რამაზ ნოზაძეს (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), დავით ქევხიშვილს, ზურაბ ზვიადაურს, ლაშა გუჯეჯიანს (სამივე ძიუდო), ზვიად სამუკაშვილსა და არსენ კასაბიევს (ორივე ძალოსნობა). გუშინ ამ სპორტსმენებთან შესაბამისი ხელშეკრულებებიც გაფორმდა და როგორც ემზარ ზენაიშვილმა თქვა, ისინი, თავიანთ მწვრთნელებთან ერთად ოლიმპიურ სტიპენდიებს წლევანდელი 1 მაისიდან პეკინის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ყოველთვიურად მიიღებენ მაშინ, როცა სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს მსგავსი ხელშეკრულება ახალი წლიდან ექნებათ. ემზარ ზენაიშვილის თქმით, ჩვენთვის გამონაკლისი, ისევ სოკ-თან ჩვენი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის კარგი დამოკიდებულების წყალობით გახდა შესაძლებელი.

გუშინწინდელ თავყრილობაზე ისიც ითქვა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ასეთი დახმარება საქართველოს ოლიმპიური ფონდის სტიპენდიებს არ ჩაენაცვლება. ფონდის სტიპენდიებს მეტი სპორტსმენი და მათი მწვრთნელები კვლავაც მიიღებენ, რაც სოკ-ის დახმარებაზე ნაკლები სულაც არაა.

„თბილისი მარიოტში" სოკ-ის სტიპენდიანტებთან ხელშეკრულების გაფორმების გარდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ათლეტთა კომისიის შესაბამისად შეიქმნა ქართველ ათლეტთა კომისიაც. მას სათავეში მსოფლიოს ორგზის, ევროპის ხუთგზის ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების ორგზის პრიზიორი ლუკა კურტანიძე ჩაუდგა, წევრებად კი მიიღეს: ნინო სალუქვაძე, დავით ბედინაძე, არსენ კასაბიევი, ნინო უჩაძე, დავით ქევხიშვილი, მანუჩარ კვირკველია, ზურაბ ზვიადაური და გიორგი ასანიძე.

გუშინდელი თავყრილობა კი დაიწყო მოსკოვში, ევროპის ჩემპიონატში თავგამოჩენილი ჩვენი ფალავნების ლუკა კურტანიძის, გიორგი გოგშელიძის, მანუჩარ კვირკველიას და დავით ბედინაძის წარმატებათა აღნიშვნით. მათ წარმატება მიულოცა სეოკ-ის ვიცე პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა. ამ სპორტსმენებს პრემიებთან ერთად იქვე საჩუქრად გადაეცათ ახლახან გამოცემული ქართული სპორტული ენციკლოპედია.

სასიამოვნო ამბებით დაწყებული დღე მეტად სამწუხარო ამბით დასრულდა — „თბილისი მარიოტიდან" გამოსულებმა შევიტყვეთ პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის, სახელგანთქმული ფალავნის დავით ციმაკურიძის გარდაცვალების ამბავი...

**ავთანდილ ჭყვიშელი**




სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31);"სამშობლო" (ყაზბეგის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12); "მერანი" (რუსთაველის 42); "აისი" (ალმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

| საქართველოს ჩემპიონატი. ქალები |
|---|
| ფინალი |
| თბილისის სპორტსკოლა 2:3 ჯიკო |
| მესამე ადგილისთვის |
| ბოლნისი 1:3 დუშეთი |

# ჯიკოს ვერ უჯიკეს

*რაც საქართველოს საფრენბურთო ჩემპიონატი ტარდება, ჯიხაიშის „ჯიკო" უცვლელი ჩემპიონია. წლევანდელი სეზონიც ჯიხაიშელი გოგონების გამარჯვებით დასრულდა, თუმც აქამდელი ფინალებისაგან განსხვავებით, „ჯიკოს" ხუთსეტიანი ომი გადახდა თბილისის სპორტსკოლის საფრენბურთო კლუბთან და კინაღამ ტიტულიც დაკარგა. ჯიხაიშელები მეტოქეს ორი სეტით ჩამორჩებოდნენ, თუმც მეტოქის გამოუცდელობით ისარგებლეს, მატჩის ბედი თავისკენ შეატრიალეს და ჩემპიონობაც მეხუთედ მოიპოვეს.*

*დაძაბული ფინალის შემდეგ „ჯიკოს" და საქართველოს ქალთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ნუგზარ მიქაძეს ვესაუბრეთ:*



ნუგზარ მიქაძე თავის ჩემპიონებში

— როგორ შეაფასებდით დასრულებულ სეზონს?

— მეხუთედ გავხდით ჩემპიონები, თუმც დაძაბულ ბრძოლაში გავიმარჯვეთ. გოგოებმა ძალიან იყოჩაღეს.

— მსაჯობასთან თუ გქონიათ პრეტენზიები?

— მსაჯობით უკმაყოფილო ვარ. უკვე დიდი ხანია, ჩემპიონატებში ვმონაწილეობთ და იმედი მქონდა, არბიტრები უფრო ობიექტურები იქნებოდნენ. რაკი „ჯიკო" უკვე მრავალგზის ჩემპიონია, მსაჯები თბილისელების მხარეს იჭერდნენ და ჩვენ დაჩაგვრას ცდილობდნენ.

— განვლილი ჩემპიონატებისა და წლევანდელი სეზონის დონეთა შორის პროგრესი თუ შეიმჩნევა?

— დონემ თანდათან აიწია. სასურველი იქნებოდა, ფინალი დიდ დარბაზში ჩატარებულიყო.

— ჩემპიონატის მსვლელობისას ახალი სახე თუ აღმოაჩინეთ?

— ერთ-ორ წელიწადში „ჯიკო" ძალიან ძლიერი გუნდი იქნება, ამჟამად კი რამდენიმე გოგონას გამოვარჩევდი. ესენი არიან: მაია კოროშინაძე, ირინა კახაძე და ირინა შენგელია.

— ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ჯგუფში გერმანიის, საფრანგეთისა და ლატვიის ნაკრებებთან მოვხვდით. ჯგუფიდან გასვლა წარმოუდგენელი რამაა. მესამე ადგილის დაკავება კარგი შედეგი იქნება?

— რა თქმა უნდა, გერმანიისა და საფრანგეთის ნაკრებთან თამაში რთული იქნება. ლატვიის ნაკრების შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ გვაქვს. რაც ჩვენ ხელთ იქნება, ყველაფერს გავაკეთებთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**თამუნა შერმადინი**

# ფრენბურთის გეოგრაფია დარბაზში ვერ ეტევა



*ქალთა ჩემპიონატის ფინალს, ცხადია, საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი* **ლევან ახვლედიანიც** *ესწრებოდა. ფრენბურთის თავკაცს სახელდახელოდ გავესაუბრეთ ნაფინალევს*

— ამ ჩემპიონატში სარეკორდოდ ბევრი, 9 გუნდი მონაწილეობდა, მათ შორის, დუშეთის და ბოლნისის. თანდათან გეოგრაფიული არეალიც იზრდება — ოთხეულში თბილისის მარტო ერთი გუნდი მოხვდა. ჩემპიონატის ფინალიც საკმაოდ დაძაბული გამოდგა.

— საქართველოს ჩემპიონატის ფინალს ოლიმპიური მზადების სკოლის დარბაზი აკმაყოფილებს?

— რა თქმა უნდა, ბევრი დარბაზია საჭირო, მაგრამ ჯერ რაც არის, ისიც უნდა გარემონტდეს.

— 13 მაისს კაცთა, 26 მაისს კი ქალთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი იწყება. დაფინანსების მხრივ პრობლემები ხომ არ გაქვთ?

— ბიუჯეტი ძალიან მწირია. მართალია, სახელმწიფო გვაფინანსებს, მაგრამ არ გვყოფნის და საკუთარი ხარჯების გაღება გვიწევს. სირცხვილია, რომ არცერთმა კომპანიამ სპონსორობის სურვილი არ გამოთქვა.

— ჯგუფიდან გასვლის რა შანსი არსებობს?

— შანსები მცირეა, რადგან ძლიერი მეტოქეები გვყავს, მათ წინააღმდეგ თამაში რთული იქნება, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**თიკა ასლანიშვილი**





# მამა-შვილის თასები

**შარშან** თბილისელმა ლიუბა გოლოვინამ ახალგაზრდა ბატუტზე მხტომელთა შორის მსოფლიოს ჩემპიონობით ისახელა თავი, მაგრამ მერე მძიმედ დაშავდა და ვარჯიშებიც კარგა ხნით გაუცდა — მუხლმტკივანი მთელი რვა თვის განმავლობაში აღარ გასულა შეჯიბრებებზე.

და აი, ასეთი ხანგრძლივი უქმობის მერე გოლოვინამ ბულგერთის ქალაქ გაბროვოში გამართულ საერთაშორისო ტურნირს მიაშურა, სადაც მასპინძლებთან ერთად ინგლისელი, ირლანდიელი და ბერძენი სპორტსმენები გამოდიოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ გოლოვინა მტკივან მუხლს უფრთხილდებოდა და ამის გამო პროგრამაც გაიიოლა, მაინც ბრწყინვალედ გამოვიდა და პირველობაც მოიპოვა.

ლიუბა გოლოვინამ ნახტომები ისე ტექნიკურად შეასრულა, რომ გამარჯვებულის ოქროს მედალთან ერთად სპეციალურად დაწესებული თასიც მოიგო.

„მაღალი ტექნიკისთვის" ასეთივე თასი დაიმსახურა ლიუბას მამამაც — ვლადიმერმა, რომელიც შვილს თავადვე ავარჯიშებს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# კოკაიმ ფავორიტები მოიგერია

**გუშინწინ** ტოკიოში, სუმოს მექად წოდებულ რიოგოკუს რაიონში სეზონის მესამე დიდი ბაშო გახურდა. მსოფლიოს 68 უძლიერესი დევკაცი „კოკუგიკანის" დარბაზში შეიყარა და ორ დივიზიონში — მაკუტისა და ძიოროში — გადანაწილდა. მაკუტი რანგით მაღლა დგას და იქ ქართველი კოკაი, ლევან ცაგურიაც ჭიდაობს.

მარტის ბაშოს უარყოფითი ბალანსით დასრულების შემდეგ ჩვენებურმა რეიტინგში დაბლა დაიწია, დასავლეთის პირველი მაეგაშირობა მეექვსეთი შეეცვალა და ახლა დაკარგულის ანაზღაურებას შეეცდება.

თხუთმეტტურიანი ტურნირის ორი ტური უკანაა და კოკაი ლიდერებშია. ჯერ იყო და ექსსეკივაკე ტამანოსიმას გადაუძახა მაყურებლებში, მერე კორპუსში ბიძგებით — ცუპარებით — სულაც ექსოძეკი ძეძიმა დაამარცხა.

ჯერ მთელი ბაშო წინაა და იმპერატორის თასისთვის მებრძოლთა შანსებზე საუბარიც ძალიან ადრეა. ფავორიტებად თასის თექვსმეტგზის ამწევი მონღოლი იოკოძუნა ასასიორიუ, იოკოძუნობის კანდიდატი ტოჩიაძუმა და ახალგამომცხვარი ოძეკი ხაკუხო სახელდებიან, თუმც გაგიკვირდებათ და, პირველმა ორმა უკვე წაგებაც მოასწრო. ასასიორიუ რიგითმა მაეგაშირა ვაკანოსატომ დაალონა, ხოლო ტოჩიაძუმა — ბევრისთვის უცნობმა კოტოსიოგიკუმ.

მესამე ტური დღესაა. კოკაი მოგებათა გასასამებლად ექსკომუსუბი ივაიკამას დაეჭიდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**





# კავკასია დილომში გაერთიანდა

**6-7 მაისს** დილომში, ლევან თედიაშვილის სახელობის საჭიდაო დარბაზში თავისუფალ ჭიდაობაში მისივე სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა ჭაბუკებს შორის. მერიის სპორტის სამსახურის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრზე ცამეტ წონაში ოთხასზე მეტი მოჭიდავე მოგროვდა. საქართველოს ყველა რეგიონი თავისი გუნდით გამოვიდა, უცხოეთიდან კი ტურნირს სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაკრებები ესტუმრნენ.

სტუმრებმა შინ ორმოცდათორმეტიდან მხოლოდ სამი მედალი წაიღეს. ქართველთაგან ყველაზე მეტი ოქრო გორელებმა მოიპოვეს, ხოლო ლევან თედიაშვილის სახელობის სპეციალურ პრიზს 85 კილოგრამში გაჩემპიონებული ხარაგაულელი თედორ ებანოიძე დაეუფლა.

| |
|---|
| **26 კგ** |
| 1 არტურ მოდოსიანი (გორი)<br>2 სპარტაკ ხაბაზი (ქედა)<br>3 გიორგი ქაჩალიშვილი (თბილისი)<br>3 უჩა საათაშვილი (გორი) |
| **29 კგ** |
| 1 რამაზ ზოიძე (ბათუმი)<br>2 ტახირ ალიევი (აზერბაიჯანი)<br>3 გოგი ჯანიაშვილი (ყვარელი)<br>3 ხვთისო იორამაშვილი (გორი) |
| **32 კგ** |
| 1 რაულფ შაკუროლლი (თელავი)<br>2 თორნიკე ასინათაშვილი (საგარეჯო)<br>3 გია პეტრიძე (ხელვაჩაური)<br>3 ბექა ბუჯიაშვილი (გორი) |
| **35 კგ** |
| 1 გიორგი გუჯარაიძე (ყაზბეგი)<br>2 ჩინგიზ მახაჭოვი (მარნეული)<br>3 ტაგუნ ასკაროვი (აზერბაიჯანი)<br>3 ლევან როჭიკაშვილი (საგარეჯო) |
| **38 კგ** |
| 1 ნარიკ სირუნიანი (სომხეთი)<br>2 ავთო მახაჭაშვილი (ხაშური)<br>3 დავით ბუზიაშვილი (ხაშური)<br>3 გიორგი დაბრუნდაშვილი (თბილისი) |
| **42 კგ** |
| 1 ლევან ქელეხსაშვილი (ხაშური)<br>2 ლაშა ლომთაძე (ქუთაისი)<br>3 ილია დენტოშვილი (ყვარელი)<br>3 ვასო გაგნიძე (ონი) |
| **47 კგ** |
| 1 ჯემალ ხარაბაძე (ოზურგეთი)<br>2 ვლადიმერ ხინჩიკაშვილი (გორი)<br>3 ირაკლი კაციტაძე (საგარეჯო)<br>3 ბექა პეტრიაშვილი (საგარეჯო) |
| **53 კგ** |
| 1 კოტე ხაბულაშვილი (გორი)<br>2 გიორგი თედიაშვილი (საგარეჯო)<br>3 ვანო ახალმოსულიშვილი (ყვარელი)<br>3 შავლეგ ყულიაშვილი (ბოლნისი) |
| **59 კგ** |
| 1 თენგიზ ჩოჩიშვილი (გორი)<br>2 თამაზ ელანდიშვილი (ქარელი)<br>3 რევაზ ივანიშვილი (თბილისი)<br>3 თორნიკე ლურსმანაშვილი (ქუთაისი) |
| **66 კგ** |
| 1 ჯონი ყადიძე (ბათუმი)<br>2 სულიკო გლუნჩაძე (ხარაგაული)<br>3 ლევან გვილავა (აფხაზეთი)<br>3 კახა ბაქრაძე (ბოლნისი) |
| **73 კგ** |
| 1 ელთან ბაირამოვი (გორი)<br>2 გიორგი ასლანიშვილი (თბილისი)<br>3 არსენ ჩომახიძე (ხონი)<br>3 მამუკა კორძახია (ბათუმი) |
| **85 კგ** |
| 1 თედორ ებანოიძე (ხარაგაული)<br>2 ივანე უძილაური (საჩხერე)<br>3 გიორგი გოგრიჭიანი (გორი)<br>3 შანშე არაბული (თბილისი) |
| **100 კგ** |
| 1 დავით გზირიშვილი (კასპი)<br>2 ბექა კუტუბიძე (თბილისი)<br>3 ირაკლი დვალიძე (ამბროლაური)<br>3 ანზორ გიორგობიანი (თბილისი) |




AFP მადრიდიდან




AFP მადრიდიდან



# ADIOS!

## დარჩება დიდი, თეთრი სიცარიელე

კვირას ზინედინ ზიდანმა უკანასკნელად ითამაშა „სანტიაგო ბერნაბეუზე“. ერთი მატჩიც და, ის „რეალიდან“ წავა. კიდევ რამდენიმე სანაკრებო მატჩი და, ის საბოლოოდ გამოემშვიდობება ფეხბურთს.

ადრე თუ გვიან, ყველა ამთავრებს კარიერას, მაგრამ ზიდანის დარი ფეხბურთელები, რა გასაკვირია, რომ უფრო ხმაურიანად მიდიანხოლმე.

„სანტიაგო ბერნაბეუმ“ აი, ასე „თეთრად“ გააცილა ფრანგი ვარსკვლავი. ახლა ჯერი თავად ფრანგებზეა.

## საკითხი და ავტობუსი უკვე გადაჭრილია

„ბარსელონამ“, დიახაც, გადაჭრა ავტობუსი, რაც დიდ საფეხბურთო ქვეყნებში ჩემპიონთა წესია. ისე, ამ ავტობუსს გადაჭრა რომ არ ასცდებოდა, ლამის სეზონის დაწყებამდეც ვიცოდით.






AFP ბარსელონიდან

## რა კაცი რა შირა!



AFP ნიუკასლიდან

2004 წლის ნოემბერში ნიუკასლში მყოფ ჩვენს ჟურნალისტ კობა ინასარიძეს ალან შირერმა ინტერვიუში უთხრა, ერთი სეზონიც და, კარიერას დავასრულებო. ალან შირერმა კარიერა დაასრულა.

იყიდება საუკეთესოდ მოწყობილი ტოტალიზატორი საბურთალოზე (მუშა მდგომარეობაში)
ტელ. 899-44-64-84

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge